ხარობს სამშობლო ოქტომბრის მზის ქვეშ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 259 (11565) | ხუთშაბათი, 5 ნოემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ხალხის საკეთილდღეოდ

სასიხარულო დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა. ვდგავართ დიდი ოქტომბრის წინ და სიამაყით შევყურებთ გავლილ გზას. რამდენი რამ გაკეთდა და აშენდა ამ უახლოეს ხანში მშრომელთა საკეთილდღეოდ. რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ ჩვენი ქვეყნის თუნდაც ამ ბოლოდროინდელი მიღწევებიდან.

ახლა, როცა გაცხოველებული მზადებაა სოფლად და ქალაქად ოქტომბრის დღესასწაულის ღირსეულად შესახვედრად, საბჭოთა ადამიანები უღრმეს მადლობას გამოთქვამენ პარტიისა და მთავრობისადმი იმ დიდი მზრუნველობისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად. საბჭოთა ადამიანები გმირული შრომით ქმნიან დოვლათს, ამაღლებენ წარმოების დონეს, ამდიდრებენ მშობელ ქვეყანას პროდუქტების სიუხვით, ფართო მოხმარების საგნების გამოშვებით, ახალი გზებისა და არხების გაყვანით, ფაბრიკა-ქარხნების აგებით, მძლავრი აგრეგატების ამუშავებით.

სამშობლოს მატერიალური სიმდიდრის ზრდასთან ერთად დღითი-დღე იზრდება მშრომელთა კულტურული მოთხოვნილება, უმჯობესდება მათი საყოფაცხოვრებო პირობები. ბევრი აშენდა და კიდევ მეტი აშენდება კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, სადაც პირველ რიგში სახელოვანი ადამიანები, წარმოების ნოვატორები, ინტელიგენციის წარმომადგენლები იღებენ და მიიღებენ ახალ საუცხოო ბინებს. საკმარისია ითქვას, რომ ოქტომბრის ამ წინადღეებში თბილისის ასობით ოჯახმა მიიღო ახალი საცხოვრებელი ფართობი.

ცხადია, ბინების მხრივ ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჯერ კიდევ მთლიანად არ ხერხდება, მაგრამ ამ შვიდწლედის მანძილზე საბოლოოდ იქნება მოგვარებული ეს მტკივნეული საკითხიც. დედაქალაქის მშრომელები თანდათანობით მიიღებენ კარგ, ნათელ, კეთილმოწყობილ ბინებს ამ ახლო მომავალში.

კიდევ ერთი მშვენიერი ნაგებობა ემატება თბილისის მშრომელთა კეთილდღეობის ასამაღლებლად. ქალაქი მიიღებს ახალ სათბობ იაფ ენერგიას — გაზს. უზრუნველყოფილი იქნება ათასობით საცხოვრებელი ბინისა და საუწყებო შენობათა გათბობა გაზით. ესეც საუკეთესო დასტურია იმისა, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენენ მშრომელებისადმი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ჩვენი მთავარი ამოცანაა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო სალაჰ სალემი

4 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გამომცემლობა „ათთაჰრირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცნობილი საზოგადო მოღვაწე სალაჰ სალემი მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

საბჭოთა ავიაციის უდიდესი მიღწევა

31 ოქტომბერს მფრინავმა გ. კ. მოსოლოვმა ერთი ტურბორეაქტიულძრავიანი „ე-66“ თვითმფრინავით მიაღწია საშუალო სიჩქარეს — 2.388 კილომეტრს საათში. ერთ-ერთი გაფრენის დროს მან საათში განვითარა 2.504 კილომეტრი სიჩქარე.

ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბი მიღებულ შედეგს გაგზავნის საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში, რათა იგი რეგისტრირებულ იქნას მსოფლიო რეკორდად. (საკდესი).

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

დიდი ოქტომბრის საზეიმო დღეებს ახალი მიღწევებით აღნიშნავენ ჭიათურელი მაღაროელები. კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი სექტემბრის მაჩვენებლების მიხედვით კვლავ პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველოს შავი მეტალურგიის საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიეკუთვნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მეორე ადგილზე გამოვიდა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, ხოლო მესამე ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივი.

მაღაროელებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით აამშობლოს მისცენ ათეულ ათასობით ტონა სასაქონლო მარგანეცი.



თინა ანდრონიკაშვილი სტერილიზატორად მიიღეს გორის საკონსერვო ქარხანაში. სასწავლო მერხიდან დიდი ქარხნის ლაბორატორიაში მოხვდა პირველად. უცნობი იყო მისთვის ეს ახალი გარემო, მაგრამ შრომის სიყვარულმა, მონდომებამ და ბეჯითობამ მალე გაუკაფა გზა.

თინამ კარგად აითვისა დავალებული საქმე. თავდადებით შრომობდა და უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე დაწინაურეს. ახლა იგი ლაბორანტია. თავაუღებლად უზის მაგიდას, მომარჯვებული აქვს ხელსაწყოები, გულდასმით სინჯავს გამოსაშვებ პროდუქციას. მის მიერ ჩატარებულ შემოწმებაზე ბევრად არის დამოკიდებული გორის კონსერვების ხარისხი.

სურათზე: გორის საკონსერვო ქარხნის ლაბორანტი თინა ანდრონიკაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ა. ტაბატაძისა.

საკოდმეურნეო სოფლის წვლილი

საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება

1959 წლის 1 ნოემბრისათვის (პროცენტობით)

	ხორცი	რძე	კვერცხი	მატყლი	მსხვილფეხა პირუტყვის ყვავილა	წვრილფეხა პირუტყვის	ტყავნედლეულ ლორისა
1. ახალქალაქის	106	106	110	82	108	101	72
2. ბოგდანოვკის	115	100	116	100	96	100	102
3. ახალციხის	104	103	113	101	100	114	77
4. ადიგენის	110	107	101	101	154	98	69
5. ასპინძის	103	101	105	105	101	112	101
6. ხაშურის	75	89	92	99	103	88	75
7. ქარელის	89	92	98	108	82	79	65
8. გორის	89	102	101	100	114	100	100
9. კასპის	92	94	100	106	109	74	28
10. ბორჯომის	133	[illegible]	102	82	105	94	79
11. საგარეჯოს	69	90	82	105	110	103	81
12. გურჯაანის	98	100	100	121	97	90	67
13. სიღნაღის	74	94	94	121	72	59	74
14. წითელწყაროს	85	93	102	109	87	87	93
15. თელავის	93	91	89	101	122	89	55
16. ახმეტის	103	94	89	98	97	103	37
17. ყვარლის	81	94	92	120	99	126	67
18. ლაგოდეხის	103	120	100	115	80	94	34
19. ქ. თბილისის — სამგორის	98	101	90	124	104	118	60
20. თბილისის კანტორა	—	—	—	—	99	89	69
21. მცხეთის	89	117	102	117	104	83	100
22. მარნეულის	70	104	76	86	75	95	59
23. ბოლნისის	100	100	100	98	89	111	88
24. წალკის	102	100	100	85	109	124	100
25. დუშეთის	94	102	100	100	100	100	25
26. თეთრი წყაროს	111	105	100	103	100	98	68
27. დმანისის	101	100	100	104	101	100	101
28. თიანეთის	104	96	101	108	102	119*	102
29. ყაზბეგის	142	91	—	98	74	77	75
30. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	106	101	98	98	98	97	82
1. სტალინირის	101	103	100	87	—	—	—
2. ჯავის	105	96	—	101	—	—	—
3. ლენინგორის	112	102	101	100	—	—	—
4. ზნაურის	103	100	90	5	—	—	—
31. წყალტუბოს	83	97	96	—	133	146	73
32. სამტრედიის	88	110	100	—	103	87	35
33. წულუკიძის	77	93	100	—	99	117	40
34. ვანის	78	91	90	—	82	88	21
35. მაიაკოვსკის	78	93	88	—	170	89	71
36. ზესტაფონის	94	114	98	—	98	115	69
37. თერჯოლის	101	103	102	—	57	65	7
38. ქალაქი ჭიათურა	101	100	89	—	92	71	60
39. საჩხერის	108	116	108	—	100	100	15
40. ორჯონიკიძის	100	101	100	—	100	100	12
41. ტყიბულის	102	101	101	—	139	100	100
42. ონის	101	101	75	—	101	101	10
43. ამბროლაურის	101	101	100	—	84	77	77
44. ცაგერის	100	100	101	—	101	101	109
45. ლენტეხის	111	101	—	—	81	89	8
46. აბაშის	98	100	101	—	84	91	36
47. ცხაკაიას	82	90	96	—	92	84	53
48. გეგეჭკორის	90	93	90	—	99	110	37
49. ზუგდიდის	100	101	100	—	83	85	48
50. ხობის	83	91	88	—	85	100	40
51. წალენჯიხის	101	100	87	104	73	80	63
52. ჩხოროწყუს	96	91	88	—	66	105	42
53. მახარაძის	100	110	101	—	128	138	74
54. ლანჩხუთის	102	102	101	—	100	142	38
55. ჩოხატაურის	100	101	103	—	108	104	66
56. მესტიის	132	104	—	—	100	105	100
57. ქალაქ ფოთი	78	99	—	—	104	148	83
58. აფხაზეთის ასსრ	83	72	99	107*	98	82	71
1. სოხუმის	76	54	90	200	—	—	—
2. გალის	84	79	79	89	—	—	—
3. გაგრის	86	91	104	—	—	—	—
4. გუდაუთის	86	52	99	63	—	—	—
5. ოჩამჩირის	85	79	97	105	—	—	—
59. აჭარის ასსრ	103	104	101	—	105	97	89
1. ბათუმის	103	105	102	—	—	—	—
2. ქობულეთის	101	105	145	—	—	—	—
3. ქედის	104	104	100	—	—	—	—
4. ხულოს	108	105	101	—	—	—	—
5. შუახევის	102	100	101	—	—	—	—
წონაში მატება პირუტყვის ბაგურ-საიალაღო გასუქებით	82	—	—	—	—	—	—
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	93	98	97	104	103	97	67

* მონაცემთა ღაზუსტება

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

მიიღე სამშობლოვ, საოქტომბრო საჩუქრები

თბილისი ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივი დიდი გამარჯვებებით ხვდება საოქტომბრო ზეიმს. აქ წლის გეგმა ათ თვეში შეასრულეს. გამოშვებულია მილიონობით მანეთის პროდუქცია. ასეთი მაღალი მაჩვენებლები მიღწეულია ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების შედეგად. წელს რაციონალიზატორებმა შემოიტანეს 6-ჯერ მეტი წინადადება, ვიდრე შარშან.

• • •

ქუთაისი რძის ქარხნის კოლექტივი წლიური დავალების ვადამდე შესრულებით ეგებება დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავს. ქარხანამ შვიდწლედის მეორე წლის ანგარიშში უკვე გამოუშვა 200 ათასი მანეთის რძე და რძის პროდუქტები, ამასთან დღემდე ნახევარი მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

ქარხნის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ წლის ბოლომდე სულ მცირე 700 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

• • •

სოხუმი საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა წლის დასაწყისიდან დაამზადა 3,5 მილიონზე მეტი ქილა ხილის კომპოტები, ხილფაფა, მურაბა. გეგმის ზევით გამოშვებულია 300 ათასამდე ქილა კონსერვები.

წინასოოქტომბრო შრომითს ვახტზე შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს ბრიგადირებმა, რომლებსაც ა. უვაროვა და გ. გრიშჩენკო ხელმძღვანელობენ, ამ ბრიგადების კოლექტივები კომუნისტური შრომის კოლექტივების სახელწოდების მოპოვებისათვის იბრძვიან.

• • •

გათუმი № 5 სამშენებლო ტრესტში სახელი გაითქვა რკინაბეტონის ნაკეთობათა პოლიგონის პირველმა ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მშენებელი ლევან ოჩიგავა ხელმძღვანელობს. იგი სართულთა შორის გადახურვის ღრუბანიან ფილებს ამზადებს და ცვლის ნორმებს 140-160 პროცენტით ასრულებს.

ამას წინათ ლევან ოჩიგავა სამუშაოდ გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადაში. ბრიგადას პირველი დღეებიდანვე დაეტყო ენერგიული მშენებლის ხელი, ახლა ბრიგადა უკვე გამოდის მოწინავეთა რიგებში.

• • •

ზესტაფონი ფერომანგანუმელი ბიღრსეულად ხვდებიან დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. მეტი ლეგირებისათვის მამაცურად შრომობენ რ. ხხილაძისა და ი. კოვზირიძის ბრიგადები, რომლებიც ყოველდღიურად იძლევიან ზეგეგმითს შენადნობს.

საჩუქრები

სადღესასწაულო დღეებში განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევს მესამე საამქროს კოლექტივი. აქ სერიოზული წარმატება მოიპოვეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან ვ. ბერეჟიანთან და ი. ბარათაშვილთან თანამშრომლობით შესრულდა საცდელი სამუშაოები და მიღებულია ძვირფასი შენადნობი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეტალურგიაში.

• • •

ორჯონიკიძე რიტმულად მუშაობს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი. მის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ ფაბრიკის რაციონალიზატორებს. წინათ ხის გამოხარშვას სამი-ოთხი საათი სჭირდებოდა. მექანიკოსმა ვ. ტორაძემ ეს პროცესი ორთქლის წნევაზე გადაიყვანა და იგი 15 წუთში სრულდება. ამ წინადადებით წლიურად 166.200 მანეთი იზოგება. მისივე წინადადებით ფაბრიკაში მოეწყო სამის ხაზურგის ავტომატურად ხალუნავი დაზგა, რაც წლიურად 173.400 მანეთ ეკონომიას იძლევა.

თბილისში აინთეგა გაზის ჩირაღდანი

ხვალ, 6 ნოემბერს, საქართველოს დედაქალაქი მიიღებს ყარადაღის გუნებრივ გაზს

ძვირფასი შენაძენით — საქალაქო გაზგანმანაწილებელი ქსელის ამუშავებით ეგებება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეორე წლისთავის დღესასწაულს.

გაზგანმანაწილებელი ქსელის ნაწილობრივ ამუშავების, ყარადაღის ბუნებრივი გაზის მიღების აღსანიშნავად თბილისის გარეუბანში საზეიმო ვითარებაში აინთება გაზის ჩირაღდანი, რომელიც ისფერი ალის

ენაფით ქვეყანას ამცნობს თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის ახალი, დიდი მნიშვნელობის ნაბიჯის გადადგმას, რესპუბლიკის სათბობის ბალანსის მოსაწესრიგებლად მოპოვებულ სერიოზულ გამარჯვებას.

ყარადაღ-თბილისის გაზსადენის მშენებლობა, თბილისისა და ინდუსტრიული რუსთავის გაზიფიკაციის განხორციელება კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმ მამობრივი მზრუნველობისა, რომელსაც კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, შობლიური საბჭოთა მთავრობა იჩენენ მთელი საბჭოთა ხალხის, კერძოდ ქართველი ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის.

ბუნებრივი გაზის საწვავად გამოყენება მკვეთრად გაუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, ხოლო თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება გაზის გამოყენება მოსახლეობისათვის ეკონომიკის თვალსაზრისითაც ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები: ერთი ლიტრი წყლის ადუღება შეშით ჯდება 10-11 კაპიკი, ნავთის საშუალებით — 5 კაპიკი, ხოლო ბუნებრივი გაზით — 0,9 კაპიკი. თუ ვინგარიშებთ, რომ თბილისისათვის ყოველწლიურად საჭირო ქვანახშირის, შეშის და სხვა სახის საწვავის ტრანსპორტირებისათვის ცდება უმრავი ტრანსპორტი, ხოლო ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ხდება გაზსადენით, ყოველწლიური ეკონომია, რომელსაც რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის გამოთავისუფლება მოგვცემს, 20 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ყარადაღ-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა გასულ 1958 წელს დაიწყო. მშენებლობის განხორციელება დაეკისრა საკავშირო ორგანიზაციას — „მთავარგაზს“, რომელსაც 508 კილომეტრის სიგრძის ტრასზე უნდა დამონტაჟებინა გაზსადენის მაგისტრალური მილი. როგორც ცნობილია, ყარადაღ-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის განშტოება ხდება აღსტაფაში. ერთი შტო მოემართება თბილისისაკენ, მეორე — ერევნისაკენ.

თბილისისაკენ მაგისტრალის გაყვანის დამთავრება „მთავარგაზის“ მშენებლებმა იკისრეს მომდინარე 1959 წლის 7 ნოემბრისათვის და ეს დაპირება კიდევაც შეასრულეს. გაზი მოსულია თბილისის გარეუბანში.

რთული, უაღრესად პასუხსაგები სამშენებლო სამუშაოები იყო შესასრულებელი თბილისის გაზიფიკაციის განსახორციელებლად. ამისათვის თბილისის საქალაქო საბჭოსთან ჩამოყალიბდა ახალი სამშენებლო ორგანიზაცია ტრესტი თბილგაზმშენი, რომელიც არსებითად მუშაობას შეუდგა გასული წლის მეორე ნახევრიდან. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა — სამშენებლო მექანიზმების ნაკლებობისა, მოწყობილობის სიმცირისა, რაც დიდად აფერხებდა ქალაქის გაზგანმანაწილებელი ქსელის მშენებელთა შრომითს წარმატებებს, თბილგაზმშენის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი პარტიისა და მთავრობის დავალებას, საქმე ისე წარმართა, რომ თბილისი ვადამდე თითქმის ორი თვით ადრე მზად არის მიიღოს მომმე აზერბაიჯანიდან წამოსული ბუნებრივი გაზი.

უკვე აღვნიშნეთ, რომ საქალაქო გაზგანმანაწილებელი ქსელის მშენებლობა მეტად რთული, უაღრესი სიბეჯითით შესასრულებელი, თან ჩვენი თბილისელი მშენებელი ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშებისათვის უჩვეულო, ახალი საქმეა. ამიტომ თბილგაზმშენის ტრესტის ხელმძღვანელობა იძულებული იყო სათანადო კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გაზგანმანაწილებელი ქსელის მშენებლობაში დასაოსტატებლად მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები მიეგზავნებინა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ხარკოვში. ასე მოვამზადეთ 127 მუშა-მშენებელი და ინჟინერი, ხოლო შემდგომში მათი საშუალებით — კიდევ 243 მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი, რომლებმაც გაამართლეს იმედები, თავი გამოიჩინეს მინდობილი სამშენებლო სამუშაოების მაღალხარისხოვნად, უაღრესი სიბეჯითით შესრულებაში.

ასეთი სახელმოხვეჭილი მშენებლები არიან იური ალავიძე, გივი ზაქარაშვილი, კოტე სიხარულიძე, ბორის ვეშაგური, გენადი საიაპინი, ვლადიმერ მარიამიძე და მრავალი სხვა. მათ მხარდამხარ თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა ინჟინრებმა, სამუშაოთა მწარმოებლებმა — ირაკლი ქავთარაძემ, გერმან მათითაიშვილმა, ვახტანგ ბოლქვაძემ, გურამ ნეფარიძემ და მათმა კოლეგებმა, ყველას ჩამოთვლა ძნელია.

დიდი მოცულობის სამუშაოები გვქონდა შესასრულებელი. წელს უნდა დავამთავროთ გაზგანმანაწილებელი ქსელის მოწყობა. ლენინის რაიონში ავჭალის გზატკეცილის გაყოლებით, მექანიზაციის, მაგნიტოგორსკის, ხუთწლედისა და სხვა ქუჩებზე იმ ეარაუდით, რომ გაზი მივიყვანოთ ყველა დიდ საწარმოსთან. ასევე უნდა მოვაწყოთ ქსელი სტალინის რაიონში ტელმანის, მაიაკოვსკისა და დიდუბის ქუჩებზე და ქალაქის სხვა უბნებში. პირველ რიგში კი ქსელის მოწყობა უნდა დაგვემთავრებინა 26 კომისრის რაიონში, რათა თბილისამდე მოყვანილი გაზის მიღება არ შეფერხებულიყო და საქმე ისე წაგვემართა, რომ გარდა სამრეწველო საწარმოების გაზიფიკაციისა, წლის ბოლომდე განეახორციელოთ 7.500 ბინის გაზიფიკაცია ბუნებრივი გაზით.

ეს სამუშაოები ამჟამად ძირითადად შესრულებულია, თუმცა წლის ბოლოსათვის შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. მთავარი ის არის, რომ გაზის მოსვლას ქალაქი მზად ხვდება. ნავთლუღის, რთველაძის, შაუმიანის, დოდაშვილის, კომკავშირის, ხმელნიცკის ქუჩებზე და 26 კომისრის რაიონის სამრეწველო რაიონში გაზი გაშვებული იქნება განმანაწილებელ ქსელში, რასაკვირველია, ამ ქსელის დამატებით გამოცდისა და კიდევ ერთხელ შემოწმების შემდეგ, რასაც გარკვეული დრო — რამდენიმე დღე დასჭირდება.



წელსვე განხორციელდება ლენინის სამრეწველო რაიონის გაზიფიკაცია, შემდეგ თანდათანობით — სტალინისა და ორჯონიკიძის რაიონებისა, ხოლო უწინარეს ყოვლისა გაზი შევა და ამუშავებს თბილისის თბოელექტროცენტრალს — გაზის ერთ-ერთ მთავარ მომხმარებელს.

თბილგაზმშენის კოლექტივს ჯერ კიდევ დიდი სამუშაოები აქვს შესასრულებელი იმისათვის, რომ გაზგანმანაწილებელმა ქსელმა მოიცვას მთელი ქალაქი, მისი ყოველი უბანი, ქუჩა, კვარტალი, ყოველი საწარმო. ამ დიდი, ჭეშმარიტად საშვილიშვილო დავალების გასანაღდებლად გაზგანმანაწილებელი საქალაქო ქსელის მშენებლებს მრავალი სიძნელე შეხვდებათ. მაგრამ მშენებლები აღსავსენი არიან რწმენით, რომ ხელმძღვანელი რესპუბლიკური ორგანოების დახმარებით, მთელი საზოგადოებრიობის მხარდაჭერით შეძლებენ ყოველგვარი სიძნელის გადალახვას.

გამარჯვების სიხარულით ხვდებიან დედაქალაქის მშრომელებთან ერთად თბილისში ყარადაღის გაზის მიღებას თბილისის საქალაქო გაზგანმანაწილებელი ქსელის მშენებლები.

ა. ჩიტაიშვილი,
ტრესტ თბილგაზმშენის მმართველი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — თბილგაზმშენის მოწინავე შემდუღებელი რ. ვორონინი; მარჯვნივ ზევით — გაზსადენი მილის ჩაწყობა მილჩამწყობი მექანიზმით; ქვევით — ზეინკალი რ. წულაძე და კომპრესორზე მომუშავე ვ. კარაპეტი აწარმოებენ შედუღებული კვანძების მექანიკურ გაწმენდას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

რით ხვდებით თქვენ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს?

ეს კითხვა ტრადიციული გახდა ადამიანების, კოლექტივების მიმართ.

მაგრამ რით ხვდება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს მთელი ქალაქი, ისეთი, როგორიც ლენინგრადია?

დღესასწაულისათვის მზადება ლენინის ქალაქში უკვე დიდი ხანია დაიწყო და ამჟამად ლენინგრადელებს სრული საფუძვლითა და კმაყოფილებით შეუძლიათ შეაჯამონ შედეგები. მთავარი, რითაც დღეს ლენინგრადი ცხოვრობს, ეს არის მისწრაფება ხუთ წელიწადში შეასრულონ შვიდწლიანი შრომის ნაყოფიერების მხრივ. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება კომუნისტური ბრიგადებისა და კომუნისტური შრომის დამკვრელების რაოდენობა.



ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ!...

მთელი ჩვენი ქვეყნისათვის მუშაობს ლენინგრადის ი. ბ. სტალინის სახელობის ლითონის ქარხანა. დღესასწაულის წინ მანქანათმშენებლობის ამ გიგანტმა რამდენიმე მძლავრი ტურბინი გაგზავნა ჩვენი სამშობლოს უდიდეს ენერგეტიკულ მშენებლობებზე, მათ შორის ფარხადისა და ბუხტარმის ჰიდროელექტროსადგურებზე.

ამჟამად გამოსაცდელად დაყენებულია მორიგი თბოტურბინა, რომლის სიმძლავრეა 200 ათასი კილოვატი. ჩვენ ვამბობთ „მორიგი“, რადგან ეს მანქანები, რომლებიც უდიდესია მსოფლიოში, უკვე სერიულ წარმოებაში შევიდა. ეს დღეს არის. ხვალისთვის კი მანქანათმშენებლები გეგმავენ 300 და მეტი ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინების გამოშვებას. თანაბარი სიმძლავრის გენერატორებს მათთვის ქმნიან ქარხანა „ელექტროსილაში“.

თუ დღეს შევიხედავთ ქარხანა „ელექტროსილას“ კორპუსებში, დავინახავთ გიგანტური, 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის გენერატორის აწყობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ასეთი მანქანის ენერგიით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მთელი დიდი სამრეწველო ცენტრი.

ლენინგრადში ენერგეტიკის განვითარებისათვის ამჟამად ძალიან ბევრი რამ კეთდება. თავს ნებას მივიცემთ მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი. მარტო გასულ წელს ჩვენმა მანქანათმშენებლობამ შვიდი მილიონი კილოვატი სიმძლავრე მოგვცა. გავიხსენოთ, რომ 1913 წელს მთელ რუსეთში გამოშვებული იყო მხოლოდ იქვსი ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ტურბინები.

შვიდი მილიონი და ექვსი ათასი!

წარმოიდგინეთ პაპიროსის კოლოფი სატელევიზიო ანძის გვერდით და ამ ორი ოდენობის თვალსაჩინო შედარებას მიიღებთ.

თქვენთვის, მეგობრებო!

ქალაქის ტრადიციაა ცოცხლად ეხმაურებოდეს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ მთავარ დავალებებს.

და ეი დღეს ლენინგრადელები აქტიურად ჰკიდებენ ხელს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოებას. განზრახულია გამოშვებულ იქნას ნახევარგამტარებზე მომუშავე საოჯახო მაცივრები, გადიდდება მტვერსასრუტების, ჭურჭლის, საათების და სხვ. წარმოება.

ოქტომბრის წინადღეებში ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიაში შეიქმნა პირველი ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი. ეს შესაძლებელს გახდის უფრო პორტატიული, მოხერხებული და იაფი ტელევიზორების გამოშვებას.

„ᲐᲕᲠᲝᲠᲐᲡ“ ᲖᲐᲚᲙᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

„ავრორაზე“ ამ დღეებში მჩქეფარე ცხოვრებაა. მისადგომთან პეტროგრადის სანაპიროზე ხშირად ჩერდებიან დიდი ავტობუსები, და რიგიდან, ტალინიდან, თბილისიდან, მინსკიდან, როსტოვიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულთა მორიგი ჯგუფები ადიან ხომალდზე. აქვე მოდიან ლენინის ქალაქის ბრავალრიცხოვანი ექსკურსიები, აგრეთვე უცხოეთის დელეგაციები.

„ავრორა“ დღეს მუზეუმია, მაგრამ განსაკუთრებით განუმეორებლად ამაღელვებელი, მრავალი აზრის აღმძვრელი მუზეუმი. აქ ყველაფერი მეტყველებს 42 წლის წინანდელ წარსულზე, რომელიც ცოცხლად ეხმაურება აწმყოს.

შედარებით მცირე ისტორიული ხანი გავიდა იმ დღიდან, როცა სწორედ იმ ქვემეხმა, რომელთანაც ჩვენ ახლა ვდგავართ, ზამთრის სასახლის წინააღმდეგ დაიქუხა, გგონია კი, რომ ეს მეტისმეტად დიდი ხნის წინათ იყო, — ისე აღსავსეა განვლილი პერიოდი დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით, უდიდესი საქმეებით.

მოახლოებული დღესასწაულის სუნთქვა ეტყობა ყველაფერს — გამოცოცხლებას, რომელიც გამეფებულია მაღაზიებში, ლენინგრადის ქუჩებისა და მოედნების მორთულობას, ხოლო რაც მთავარია, ყველგან გამეფებულ სასიხარულო აღფრთოვანებას.

ლენინგრადი ის ქალაქია, რომელიც უსაზღვროდ ძვირფასია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. არსებობს მხოლოდ ერთი საზომი, რომ ლენინგრადის ღირსეული იყო — ეს არის ის, რომ კეთილსინდისიერად შრომობდე სამშობლოს აყვავებისათვის.

ვ. იუნოშევა,
ო. კარიშევი,

ლენინგრადი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტები.

• • •

სურათზე: ისტორიულ კრეისერ „ავრორასთან“.

ფოტო გ. სინელნიკოვისა.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲐᲜᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

რევოლუცია ისტორიის ლოკომოტივიაო, ამბობდა მეცნიერული სოციალიზმის მამამთავარი კ. მარქსი. მართლაც, ყოველი რევოლუცია, როდესაც მას წარმატება ჰქონდა, იწვევდა ძველის მსხვრევას, ახლის გამარჯვებას, წინ სწევდა და აჩქარებდა სოციალურ პროგრესს. ისტორიის განვითარებაში მრავალი ასეთი რევოლუციაა ცნობილი. მაგრამ ყველა რევოლუციიდან, რომლებიც სხვადასხვა დროს ხალხის უძლეველ ძალას განუხორციელებია, თავისი სიდიადით, გაქანებით, მამოძრავებელი ძალებით, თავისი ამოცანებითა და შედეგებით შეუდარებელია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასებმა მოახდინეს ამ 42 წლის წინათ.

წინანდელი რევოლუციებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, კმაყოფილდებოდა იმით, რომ ჩაგრის ძველი მანქანა ერთი კლასის ხელიდან მეორე კლასისათვის გადაეცა, ხოლო ექსპლოატაციის წესებს საბოლოო ანგარიშით უცვლელად დუტვებდა, ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანი სოციალური გარდაქმნები მოახდინა და ყველა სფეროში საბოლოოდ და სამუდამოდ გაუხსნა გზა საზოგადოების პროგრესს.

ოქტომბრის რევოლუციის პირველი მონახეთვარი იყო მშრომელი მასების მიერ ძალაუფლების ხელში აღება, ძველი ექსპლოატატორული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის უმაღლეს პრინციპს მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის განუყრელი კავშირი შეადგენს, მძლავრ ბერკეტად იქცა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის საქმეში. ახლა ოქტომბრის რევოლუციის 42-ე წლისთავზე ჩვენ უკვე სიამოვნებითა და სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირში კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით შეძლო საბჭოთა ქვეყნის წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანების განხორციელება. დიდი ოქტომბრის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მუშათა კლასს, რომელიც რევოლუციის ჰეგემონია, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მთელ მშრომელ მასებთან კავშირში შეუძლია „ცაზე იერიშება“ მიიტანოს, ყოველგვარი სიძნელეები გადალახოს და ბოლომდე თანმიმდევრულად შეასრულოს ის დიდი მისია, რომელიც ისტორიამ მას დაკისრა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სიდიადე და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან პირველად გაარღვია ერთიანი მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა, კაცობრიობის ისტორიაში დასაწყისი მისცა ახალ ერას — სოციალიზმის ერას და ამით ჩაგრისაგან განთავისუფლების ნათელი გზა და ბრწყინვალე მაგალითი უჩვენა სხვა ქვეყნის მშრომელ მასებს. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკონომიურად ჩამორჩენილ რუსეთსა და მეფის იმპერიაში შემავალ სხვა ერებსაც და ხალხებს გზა გაუხსნა პროგრესისაკენ. ახალმა, სოციალისტურმა საზოგადოებრივმა წყობილებამ გამოაღვიძა ხალხში მძინებული შემოქმედებითი ინიციატივა, მშრომელი მასებისა წიაღიდან გამოვლინდა ათასობით ახალახალი ტალანტები, შრომითი გმირები, რომლებიც მანამდე ექსპლოატაციის უღელქვეშ იზღუდებოდნენ, ითელებოდნენ.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა დიდი ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება. საბჭოთა კავშირმა უმოკლეს დროში გიგანტური ნახტომი გაკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის შედეგად ქვეყნის შიგნით ლესვიდირებულ იქნა ანტაგონისტური კლასები, მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის კლასობრივი ჩაგვრა და ექსპლოატაცია. აშენდა კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი. სოციალიზმის ბაზაზე საბჭოთა კავშირში აღმოცენდნენ საზოგადოების ახალი, მანამდე უცნობი მამოძრავებელი ძალები: საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმი, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. მას შემდეგ, რაც ანტაგონისტური კლასები ლიკვიდირებულია, წინააღმდეგობათა გადაწყვეტა საბჭოთა საზოგადოებაში ხდება არა კლასობრივი ბრძოლების საშუალებით, კონფლიქტების სახით, არამედ არაანტაგონისტურად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფორმით.

ოქტომბრის რევოლუციამ საესებით გაიქარწყლა ლეგენდა იმის შესახებ, რომ ადამიანები თითქოს ბუნებრივად დაყოფილი არიან „მაღალ“ და „დაბალ“ ფენებად, რომ ადამიანთა ერთ ნაწილს უნარი აქვს სახელმწიფო მართოს და სხვებზე იბატონოს, ხოლო მეორე ნაწილი, მოკლებულია რა ასეთ უნარს, სამუდამოდ განწირულია ჩაგრისა და მონობისათვის. ოქტომბრის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩაგრისაგან განთავისუფლებულ ადამიანებსა და ხალხებს არანაკლები უნარი შესწევთ მოწინავე ცივილიზებულ ადამიანთა და ხალხთა დონემდე აკიდნენ და წარმატებით მართონ სახელმწიფო, რომ მშრომელ მასებს უნარი შესწევთ არა მარტო დაანგრიონ ძველი, არამედ წარმატებით აშენონ ახალი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა კავშირში და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების მდიდარმა გამოცდილებამ სავსებით გაამართალა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის სისწორე და ჭეშმარიტება, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძალა და უძლეველობა. ოქტომბრის შედეგებმა გვიჩვენა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარული რევოლუციისა და მუშათა კლასის დიქტატურის გზით. მაგრამ როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებია ნათქვამი, ამისათვის შეიარაღებული აჯანყება, ძალადობა, სისხლისღვრა ერთადერთი და ყოველთვის აუცილებელი მეთოდი როდია; გამორიცხული არ არის, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში, გარკვეული სიტუაციის დროს ძალაუფლების მშრომელთა ხელში გადასვლა შესაძლებელია განხორციელდეს მშვიდობიანად, პარლამენტური ბრძოლის საშუალებით, რომელიც მუშათა კლასს მოუტანს გამარჯვებას, გადააქცევს მას სახელმწიფოს ხელმძღვანელ და მმართველ კლასად. ეს გარემოება, ცხადია, არ ამართლებს რევიზიონისტების არგუმენტებს, რომლებიც მიმართულია პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ. პირიქით, ოქტომბრის გამოცდილება როგორც ძველი, ისე თანამედროვე რევიზიონისტების მტაცებათა სიყალბის მამხილებელია და გვასწავლის, რომ რა ფორმითაც უნდა მოხდეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, პროლეტარული რევოლუცია, მუშათა კლასის დიქტატურა აუცილებელი გზაა, სხვაგვარად შეუძლებელია კაპიტალიზმის მოსპობა და სოციალიზმის აშენება. უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზია თავისით არ დათმობს პოზიციებს. მუშათა კლასის ხელმძღვანელობის გარეშე არ შეიძლება გატარდეს საზოგადოების ძირეული სოციალისტური გარდაქმნები.

ოქტომბრის ცეცხლში შობილი საბჭოთა სახელმწიფო მრავალ ბრძოლაშია ნაწრთობი. როგორც შინაური, აგე გარეშე მტრები არაერთხელ შეეცადნენ ჩაეხრჩოთ ახალშობილი საბჭოთა წყობილება, მოეკლათ ოქტომბრის მონათვარი. ყველაზე დიდი განსაცდელი საბჭოთა ხელისუფლებას დაუდგა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დროს. მაგრამ მტრები ანგარიშში მოტყუვდნენ. გამართლდა ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები: მშრომელი ხალხი, როცა მის ხელში ძალაუფლებაა, უდიდეს ძალას წარმოადგენს, მას ვერ დაამარცხებენ ვერც შინაური, ვერც გარეშე მტრები. ფაშისტი ბარბაროსების ვარაუდი გაცრუვდა, ისინი თავიანთ საკუთარ ბუნაგში განადგურდნენ. ჩვენი სოციალისტური სამშობლო კიდევ უფრო ძლიერი გამოვიდა სამამული ომიდან. ომში გამარჯვა არა მარტო საბჭოთა წყობილების სიმტკიცეზე, არამედ ოქტომბრის იდეოლოგიაზე, მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ, რომელიც სოციალისტური წყობილების თეორიულ, მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს.

მაგრამ დიდი ოქტომბრის გამარჯვებისა და მისი საერთაშორისო მნიშვნელობის ყველაზე ფაქტიურ დადასტურებას წარმოადგენს ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმი ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და მსოფლიო სისტემად გადაიქცა. ათ წელზე მეტია, რაც ოქტომბრის დროშის ქვეშ დაირაზმნენ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, დიდი ჩინეთისა და აზიის მრავალი ქვეყანა, რომლებიც ახლა ზეიმობენ სოციალიზმის მშენებლობის პროცესში მოპოვებულ უდიდეს მიღწევებს.

ამრიგად, დიდი ოქტომბრის იდეებმა ხორცი შეისხა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, რომელიც წინათ კაპიტალისტური სახელმწიფოებით იყო გარემოცული, არამედ მსოფლიო მასშტაბით. ახლა მსოფლიო კაპიტალისტური სახელმწიფოების სისტემის გვერდით არსებობს მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფოების სისტემა, რომელიც დედამიწის ერთი მესამედი ტერიტორიით მალიარდზე მეტ მოსახლეობას აერთიანებს. ამასთან ურთიერთთანაფარდობის მიხედვით სოციალიზმის მხარეზე უფრო მეტი ძალებია, ვიდრე კაპიტალიზმის მხარეზე. უკეთებდა რა ანალიზს ამ ფაქტებს, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი პარტიის XXI ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა. ახლა მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა და სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში კაპიტალიზმის აღდგენა, ისტორიის წინსვლის უკუღმა შეტრიალება. ყოველივე ეს კი, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, იმით უნდა ავხსნათ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო კაპიტალიზმს მიაყენა მომაკვდინებელი ჭრილობა. რომლისაგანაც იგი ამიერიდან ვერასოდეს ვეღარ გამომთელდება. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმი ამიერიდან ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებს იმ „წინასწაროობასა“ და „სიმყარეს“, რაც მას ოქტომბრამდე ჰქონდა.

ოქტომბრის რევოლუციამ და მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა მსოფლიოს ჩაგრული კლასების და იმპერიალიზმის მიერ დამონებული ხალხების აქტივობა კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმპერიალიზმის ზურგს ძირი გამოეთხარა. სამუდამოდ დაიმსხვრა მეტროპოლიების ძველი რეჟიმი, დაიშალა კოლონიური სისტემა. წინათ კოლონიურ უღელქვეშ მყოფი ქვეყნებიდან წარმოიშვა სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც მხარს არ უჭერენ იმპერიალისტების პოლიტიკას და მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლად გამოდიან, სოციალიზმის ბანაკის საგარეო პოლიტიკას პატივისცემითა და თანაგრძნობით ეპყრობიან. ეს გარემოება კიდევ უფრო ასუსტებს იმპერიალიზმის ფრონტს და აძლიერებს მშვიდობისა და დემოკრატიის ძალებს.

კაპიტალისტურ სისტემასთან მშვიდობიან შეჯიბრებაში, რომელიც სოციალისტური ბანაკის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია, სოციალისტურმა სისტემამ თვალნათლივ გვიჩვენა თავისი ბრწყინვალე უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ ცხადყო, რომ კაპიტალიზმმა თავისი დრო მოჭამა. ახლანდელი ეპოქის ძირითად ნიშნის შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს სწორად დაგვიხატა ისტორიის წინსვლის სურათი, როცა დამაჯერებლად ახსნა სოციალიზმის უპირატესობანი ამერიკული ცხოვრების წესების წინაშე.

ამჟამად საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს ვიდწლიან გეგმას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის ახალი დიდი ნაბიჯი იქნება და უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უძლეველობაზე მიუთითებს ის უდიდესი არნახული მიღწევები, რაც ჩვენს ქვეყანაშია მოპოვებული სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. საბჭოთა მეცნიერებამ უკანასკნელ წლებში თავისი გასაოცარი წარმატებებით მთელი პროგრესული კაცობრიობა აღაფრთოვანა. საბჭოთა მეცნიერებამ ზედიზედ გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, რასაც მოჰყვა ჯერ მზის ხელოვნური თანამგზავრი, შემდეგ მთვარეზე რაკეტის მიტანა, ხოლო ამ ბოლო დროს მესამე კოსმოსური რაკეტა-ლაბორატორიის გაშვება, რომლის საშუალებით მიღწეულ იქნა მთვარის მეორე მხარის ფოტოგადაღება. ეს ფაქტები მეტყველებენ არა მარტო საბჭოთა ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების უმაღლეს მიღწევებზე და უპირატესობებზე, არამედ აგრეთვე სოციალისტური წყობილებისა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ცხოველმყოფელობასა და ძალაზე.

კაპიტალიზმის როლი და ადგილი ახლა ამდენად დაეცა და დაქვეითდა, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგები კიდეც თაყვანობენ კაპიტალიზმს უზენაეს ნრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის კაპიტალიზმს. ისინი მრავალი „ახალი“ სამკაულით რთავენ თანამედროვე კაპიტალიზმს. „სახალხო კაპიტალიზმი“, „ჰუმანური კაპიტალიზმი“, „დემოკრატიული კაპიტალიზმი“ — ასეთია ეს სამკაული. კიდევ მეტი, ისინი მზად არიან თანამედროვე „ამერიკული ცხოვრების წესები“ სოციალიზმად გამოაცხადონ და სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლაზე ილაყბონ. მაგრამ ლაყბობა ლაყბობად რჩება.

ოქტომბრის გაკვეთილებმა დაამტკიცა, რომ რაც დრო გადის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები იზრდებიან და წინ მიდიან, ხოლო კაპიტალიზმი კი უკან-უკან მიდის, სამარისაკენ მიექანება. მაგრამ ჩვენ არ ვართ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ომის გაჩაღების მომხრე, სოციალისტური ბანაკის საგარეო პოლიტიკაა კაპიტალისტურ ბანაკთან მშვიდობიანი თანაარსებობა, ომის თავიდან აცილება.

დიდი ოქტომბრის დროშის ქვეშ დარაზმული მსოფლიოს პროგრესული ძალები, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი იდეებით შეიარაღებული მშრომელი მასები კაპიტალიზმს მშვიდობიან შეჯიბრებაში იწვევენ და ღრმად სწამთ, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვლენ.

დ. კალანდაძე,
დოცენტი.

ზამთრის სასახლის იერიში.

მხატვარ ნ. მ. კოჩეგარინის ნახატი.

ᲛᲐᲜ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲣ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

ახლა, როცა ჩვენი თვალწინ დგენელი სამშობლოს ყველა კუთხეში საბჭოთა ადამიანები ზეიმით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის ღირსსახსოვარ თარიღს და ამასთან დაკავშირებით პრესაში და რადიოთი ხშირად იხსენებენ ზამთრის სასახლე, სიხარულის მღელვარება იპყრობს ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის ამ სასახლის პირველი კომენდანტის ივანე დიმიტრის-ძე რატიშვილის (რატიევის) ოჯახს.

ი. დ. რატიშვილი შთამომავალი იყო ძველი ცნობილი ქართული გვარისა, რომელსაც ნათესაური კავშირი ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. მისი მამა და პაპა მსახურობდნენ რუსეთის ჯარებში, სიერთო უცხოელი მტრებისაგან იცავდნენ რუსეთისა და საქართველოს მიწა-წყალს. თვითონ ივანე დიმიტრისძემ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაამთავრა რუსეთის მთელი რიგი სამხედრო სასწავლებლები, პარიზის ნატიფი ხელოვნების აკადემია და 1917 წელს პოლკოვნიკის ხარისხით ეკავა ზამთრის სასახლის სამმართველოს უფროსის თანაშემწის თანამდებობა.

ი. დ. რატიშვილი, რომელიც ზამთრის სასახლეში მსახურობდა და იქვე ცხოვრობდა ოჯახით, მოწმე იყო ორი მსოფლიო-ისტორიული მოვლენისა — თებერვლის და დიდი ოქტომბრის რევოლუციებისა მას წილად ხვდა დიდი ბედნიერება — შეხვედროდა ვლადიმერ ილიასძე ლენინს, ესაუბრა მასთან და შეესრულებინა მისი დავალებანი.

...1917 წლის 25 ოქტომბერი. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით მთავრობის ყველა დაწესებულება და პეტროგრადის სტრატეგიული ობიექტები რევოლუციურმა ჯარისკაცებმა, მატროსებმა, წითელგვარდიელებმა დაიკავეს.

რევოლუციურ ჯარებს ბრძანება მიეცათ მომზადებულიყვნენ ზამთრის სასახლის იერიშისათვის, სადაც თავი შეეფარა დროებითმა მთავრობამ.

ამ დროისათვის სასახლის სამმართველოს ყველა თანამდებობის პირი საზღვარგარეთ გაიქცა, რუსეთის პროვინციულ ქალაქებში მიიმალა. ი. დ. რატიშვილმა უარყო ყველა მათი წინადადება წასულიყო მათთან ერთად. თავისი სამშობლოს ისტორიის პასუხსაგებ მომენტში არ შეიძლებოდა თავი დაენებებინა თავისი პოსტისათვის, ბედის ანაბარად მიეტოვებინა მისთვის მინდობილი უდიდესი ფასეულობანი, რომელთა დაცვა საჭირო იყო შთამომავლობისათვის, ხალხისათვის.

— დროებითი მთავრობის უკანასკნელი ციტადელი, იგონებდა შემდეგ ი. დ. რატიშვილი, ზამთრის სასახლე იყო. დროებითი მთავრობა ზამთრის სასახლეს რომ შეეფარა, ეს მისი მხრივ უმაგალითო ავანტიურა იყო. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ საფრთხეში აგდებდნენ სასახლეს და ერმიტაჟს, სადაც მსოფლიოში განთქმული კოლექციებია, ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ზამთრის სასახლის მთელ რიგ დარბაზებში, რომლებიც ფანჯრებით სასახლის მოედანზე გადიან, მოთავსებული იყო სამხედრო ჰოსპიტალი, სადაც პირველ მსოფლიო ომში დაჭრილი ათასზე მეტი ჯარისკაცი იწვა. რევოლუციური ჯარების ხელმძღვანელებმა დიდი ჰუმანურობა გამოიჩინეს, ორჯერ გაუგზავნეს პარლამენტიორები დროებითს მთავრობას და წინადადება მისცეს ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად და სასახლისა და ერმიტაჟის გადასარჩენად უბრძოლველად ჩაბარებინათ ზამთრის სასახლე. სამართლიანი და დასაბუთებული მოთხოვნის მიუხედავად, დროებითი მთავრობა არათუ არ დათანხმდა შეესრულებინა ჰუმანური მოთხოვნები, არამედ მან კიდევაც დაუპატიმრა მეორედ გაგზავნილი პარლამენტიორები. ახლოვდებოდა იერიშის ჟამი, საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება.

დარჩენილმა სასახლის გრენადერებმა და მედპერსონალმა ი. დ. რატიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს დაჭრილების გადაყვანა სასახლის შიდა დარბაზებში. ძვირფასი ნივთები ჩაჰქონდათ სარდაფის სეიფებში და იქ აყენებდნენ გრენადერებს, რომლებსაც ი. დ. რატიშვილი ბრძანებას აძლევდა, რომ მის დაუკითხავად არავინ არ შეეშვათ.

იერიშის წინ და იერიშის დროს, ორივე მოწინააღმდეგე მხარის სროლაში ი. დ. რატიშვილი კვლავ განაგრძობს ფასეულობათა გადარჩენას. მთელ რიგ დარბაზებში იგი აკავებს იუნკერთა ჯგუფებს, რომელნიც ჭიბეებს ივსებდნენ ოქროს და ვერცხლის საგნებით.

როცა იერიშზე გადასული რევოლუციური რაზმები სასახლეში შეიჭრნენ, ი. დ. რატიშვილმა კონტაქტი დაამყარა მათ ხელმძღვანელებთან — ჩუდნოვსკისთან, ანტონოვ-ოვსეენკოსთან და სხვებთან. შეიარაღებული, აღელვებული მატროსები და წითელგვარდიელები გაოცებულნი უყურებდნენ მაღალ წარმოსადგი პოლკოვნიკს, რომელმაც გაბედა ზამთრის სასახლეში დარჩენილიყო, თავისუფლად ერკვეოდა დაუსრულებელ დარბაზებსა, კორიდორებსა და კიბეებში, მბრძანებლური კილოთი აძლევდა განკარგულებებს მოიერიშე ჯგუფებს, თუ სად და როგორ დაეკავებინათ პოსტები, რომ არ დაეშვათ სასახლის გაძარცვა იოლი გამდიდრების მოყვარულთაგან.

... იერიშის შემდეგ პირველ დღეებშივე ზამთრის სასახლეში მივიდა ვლადიმერ ილიას-ძე. სასახლის დარბაზებს რომ თვალიერებდა და ამავე დროს პასუხს აძლევდა ჯარისკაცთა, მატროსთა და წითელგვარდიელთა მრავალ შეკითხვაზე, ვლადიმერ ილიას-ძემ შენიშნა, რომ სასახლეში მეფის სამსახურის მონდირიანი პოოლოვნეკი დადიოდა. ილიჩი დაინტერესდა. იერიშის მონაწილეებმა, ჰოსპიტალში მყოფმა დაჭრილმა ჯარისკაცებმა, სასახლის გრენადერებმა უამბეს ვლადიმერ ილიას-ძეს პოლკოვნიკის კეთილშობილური და პატრიოტული მოქმედების შესახებ.

— ჩემი პირველი შეხვედრა ვ. ი. ლენინთან, — გვიამბობდა ი. დ. რატიშვილი — მოხდა მალე ზამთრის სასახლის აღების შემდეგ. სასახლეში წესრიგს რომ ვამყარებდი, ვხედავ მიახლოდება იერიშის მონაწილეებით გარშემორტყმული შუატანის კაცი. იგი მეტად მოძრავია, ცოცხალი, აქეს მკრეელი, ოდნავ მოჭუტული თვალები და მაღალი შუბლი. ხელს მართმევს და მადლობას მიუხმობს. ამ კაცში რაღაც განსაკუთრებული შინაგანი სიმტკიცე და მიზნისწრაფვა იგრძნობა. ძალიან უბრალოა. საუბრისას ენერგიულიაცია მიმართავს, თითქოს ამით ადასტურებს ისედაც ნათელ და ზუსტად ჩამოყალიბებულ აზრს. ყოველი მხრიდან გაისმის — ვლადიმერ ილიას-ძე, ლენინი, ლენინი, ჩვენი ილიჩი, ლენინი.

— ვლადიმერ ილიას-ძე ძალიან კარგ ხასიათზე იყო. მას განსაკუთრებით ახარებდა, რომ ბაჩრილი ჯარისკაცები არ დაზარალებულან — ამას იგი ხაზს უსვამდა პირველ რიგში, რომ სასახლისა და ერმიტაჟის ფასეულობანი გადარჩენილია. შემდეგ ვ. ი. ლენინი ინტერესს იჩენს იმისადმი, თუ წინათ როგორ იყო დაყენებული ხელოვნების ნაწარმოებისა და ისტორიული ძეგლების მოვლა და დაცვა, ამბობს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ღონისძიებანი სასახლეში სრული წესრიგის დასამყარებლად, აღწერის მოსახდენად, დაზიანებული ადგილების შესაკეთებლად, რათა სასახლე რაც შეიძლება მალე ახალი, თავისუფალი რუსეთის ყველა მოქალაქისათვის მისაწვდომი მუზეუმი გახდეს. წასვლის წინ ვლადიმერ ილიას-ძემ ერთხელ კიდევ მადლობა მითხრა, — იგონებდა რატაშვილი, — წინადადება მომცა დავრჩენილიყავი ჩემს პოსტზე და განმეგრძო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

1917 წლის 5 ნოემბერს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს გაზეთ „იზვესტიას“ № 217-ში რუბრიკით — მთავრობის მოქმედება — გამოქვეყნდა

ვენის ტყეში...

ვენაში მსოფლიო ფესტივალზე ქართველმა ოცეკვაკვეეზმა ოქროს მედალი მოიპოვეს

ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ,
ვენის ტყეში, ვენის ცისფერ ტყეში.
მაღალ მთებში მზე ჩახჩახებს მგზნებარე.
ხან მჩქეფარედ მოთქრიალებს თქეში.

ხან ზღვა ღელავს, ხან მოღელავს არაგვი,
ხან ვეფხვების თარეშია მთაში.
ტაშს უკრავენ ზანგნი, ფრანგნი, არაბნი...
შეძახილი, სიმღერა და ტაში.

ხან პირიმზე მოანათებს საროსტანს,
ხან ჭაბუკთა ჭიდილია ფიცხი.
— ბრავო! — ყვირის გრეტჰენი და შარლოტა,
— ბრავო! — ყვირის იანი და ფრიცი.

მოგოგმანობს გოგნი, გოგნი, გოგონა,
მოაქვს მთელი საქართველოს ეშხი,
და გოგონას თვალთა ჭიაკოკონა
ლამის ცეცხლად აბრიალდეს ტყეში.

მკლავი მკლავზე, ტოტი ტოტზე მოება,
სიხარულით მუხა მუხას ეკვრის
და ქალვაჟთა სიყვარულის პოემა
იწვრება სიმღერით და ცეკვით.

მოჰყოლიათ მზეჭაბუკებს, მზექალებს
ღელვის ღონე და სილაღე ქართა.
ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ
და ვენის ტყის ზღაპარია მართლაც.

დასდგომიათ თავზე ჩრდილი შტრაუსის,
უკვირს მათი ცეცხლოვანი ცეკვა.
მზის სიცილში, ღვართქაფების ხმაურში
საქართველოს მთების გული რეკავს.

ფოთოლ-ფოთოლ მზის ალმასი იღვრება
და ირხევა სხივთა დასთადასი.
სადღაც ისმის ტიროლიის სიმღერა
ჩვენებური კრიმანჭულის მსგავსი.

— რა ტანი აქვთ — ისმის გაუბედავად
რა თვალები — ელვასავით მჭრელი.
ფეხის წვერზე რად დგებიან ნეტავი,
ხომ არ უნდათ მზეს შეავლონ ხელი?!

დოლი ცხარობს ცეცხლის მიმომფანტველი,
სალამური ჰყვება ქართულ ზღაპრებს
და ჭაღარა კავკასიის ნათელი
ეფინება ქარაფოვან ალპებს.

ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ,
ვენის ტყეში, ვენის ცისფერ ტყეში,
მაღალ მთებში მზე ჩახჩახებს მგზნებარედ,
ხან მჩქეფარედ მოთქრიალებს თქეში.
ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ,
ვენის ტყეში. ვენის ცისფერ ტყეში.

იოსებ ნონეშვილი.

ვენა. აგვისტო 1959 წ.

სურათზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე მდნობელი ზურაბ ბუცხრიკიძე.

ფოტო შ. კუკულავასი.



გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში თავდადებული, მუყაითი შრომით სახელი გაითქვა მევენახეობის ბრიგადის წევრმა ლიანა ვარამიშვილმა. იგი დავალებას სისტემატურად გადაჭარბებით ანაღდებს. **სურათზე:** ლ. ვარამიშვილი.

ფოტო შ. გოქაძისა.

გურჯაანული ყურძენი

სამშობლოს მივცეთ 160 ათასი ტონა ყურძენი! — ამ საბრძოლო ლოზუნგით დაიწყეს ლაშქრობა გურჯაანელმა და ზესტაფონელმა, თელაველმა და მაიაკოვსკელმა, სიღნაღელმა და საგარეჯოელმა, ყვარელმა და ამბროლაურელმა... მევენახეებმა.

ყურძნის უხვი მოსავლისათვის ჯერჯერობით თავი ისახელეს გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის რაიონების მშრომელებმა.

მაგრამ გურჯაანელმა მევენახეებმა რესპუბლიკაში მაინც ყველას გაუსწრეს, საქვეყნოდ ნაკისრი დიდი ვალდებულება ღირსეულად გაანაღდეს, სამშობლოს მისცეს 24.000 ტონაზე მეტი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19.800 ტონისა.

მიუხედავად უამინდობისა და ამის შედეგად ყურძნის გაფუჭების საშიშროებისა, გურჯაანელი მევენახეები რისკზე წავიდნენ, რთველი არ დაიწყეს, სანამ ყურძენი სრულ ტექნიკურ სიმწიფეში არ შევიდა, სანამ ყურძნის შაქრიანობამ 19-21 პროცენტს არ მიაღწია.

ეს იყო მათ მიერ გადადგმული ჭეშმარიტად გაბედული ნაბიჯი, რითაც სამართლიანად დიმიასახურეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ტრიბუნიდან მათი მისამართით ნათქვამი სიტყვები:

— ყოჩაღ, კახელებო, გურჯაანელებო!

ქვემოთ ვბეჭდავთ პარტიის გურჯაანის რაიკომის კიბეზელი მდივნის ამხ. ა. დავითაშვილის წერილს, რომელშიც მოთხრობილია ამ რაიონის მევენახეთა გმირული შრომის შესახებ.

გურჯაანის რაიონი რაიონში კოლმეურნეობების დაარსებიდანვე პირველი და წამყვანი დარგი მევენახეობა იყო და კვლავაც პირველობას ინარჩუნებს.

მაგრამ უდიდესი განსხვავებაა ამ დარგის არცთუ ისე შორეულ წარსულსა და ახლანდელ დონეს შორის.

რა მრავალისმეტყველია ასეთი ციფრები:

1946-1951 წლებში რაიონში საშუალოდ ერთ ჰექტარზე ყურძნის მოსავლიანობა შეადგენდა 39,2 ცენტნერს, 1952-1957 წლებში კი ეს მაჩვენებელი 64,2 ცენტნერამდე გაიზარდა; 1952 წელს რაიონის მევენახეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.103 ტონა ყურძენი, 1958 წელს კი — 20 ათასამდე ტონა.

ეს ძირეული გარდატეხა გამოწვეულია მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ 1953 წლიდან განხორციელებული ისტორიული ღონისძიებების შედეგად. ამ დაჩქარებული წინსვლის წლებში განუხრელად იზრდებოდა როგორც ყურძნის საშუალო მოსავლიანობა, ისე ვენახების ფართობი, ამრიგად, ყურძნის საერთო მოსავალიც. 1953 წელს რაიონში ვენახების ფართობი 4.968 ჰექტარს არ აღემატებოდა, შარშან კი ზვრებმა 7.800 ჰექტარს გადაამეტა და კოლმეურნეობებში მოსავლიანი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 71 ცენტნერზე მეტი ყურძენი.

ვენახების ფართობების გადიდებასა და ყურძნის მოსავლიანობის ზრდაში უფრო სასახელო წარმატებებს მიაღწიეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და რგოლებმა. შაშიანის კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 114 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა და სახელმწიფოს 965 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მიჰყიდა; ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 98 ცენტნერი მოსავალი და სახელმწიფოს მიჰყიდა 744 ტონა ყურძენი; სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც მიხეილ მარჩილაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 171,9 ცენტნერი ყურძენი, ხოლო ამავე ბრიგადის მერგოლურმა მიხეილ არუსტაშვილმა 6,23 ჰექტარი ვენახის ფართობის თვითეულ ჰექტარზე 222 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწიეს შაშიანის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გიორგი დიღმელიშვილმა, სოფელ გურჯაანის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მანანა დუგლაძემ, გურჯაანის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გიორგი ჯაჯანაშვილმა და მრავალმა სხვამ.

რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები როდი დასჯერდნენ მევენახეობის განვითარება შიგ მიღწეულ დონეს. საბრძოლო ამოცანად დავისახეთ კიდევ უფრო ვზარდოთ ვაზის ბარაქა, მაქსიმალურად გამოვართვათ მადლიან მიწას ის დოვლათი, რის მოცემაც მას შეუძლია, შევინარჩუნოთ მევენახეობაში დაწესებული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ჩვენმა რაიონმა შარშანდელი მაჩვენებლებით მოიპოვა.

მიმდინარე წლის მარტში რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა იკისრა შვიდწლედის პირველ წელს 700 ჰექტარი ახალი ვენახის გაშენება, სრულმოსავლიანი ზვრების თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი მოსავლის მიღება და სახელმწიფოსათვის 21 ათასი ტონა ყურძნის მიყიდვა.

სიტყვა რომ ქაღალდზე არ დარჩენილიყო, წლის დასაწყისიდანვე მევენახეთა შორის ფართოდ გაჩაღდა მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. მართალია, ცალკეული ნაკლოვანებები იყო ვენახების დამუშავებაში, მაგრამ პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი, ადგილებზე პარტიული და სამეურნეო ორგანოებით ნაკლს შემჩნევისთანავე ასწორებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ადგილებზე, მაგალითად, კარდანახში, ვეჯნიში, ბაკურციხეში, მელაანში, ჩალაუბანში, არაშენდაში და სხვაგან, წელს საგრძნობლად დაისტყვა ვენახები, დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ როგორც მოსავლიანობის დონეში, აგრეთვე სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულება. პირველადი გადამუშავებისათვის ყველა ღვინის ქარხნებს უკვე ჩაბარდა 24 ათასი ტონა ყურძენი, ანუ გეგმაზე 4.150 ტონით მეტი და პირვანდელი ვალდებულებით გათვალისწინებულზე 3 ათასი ტონით მეტი.

წელს განსაკუთრებით მაღალი მოსავალი მოიყვანეს ველისციხის, ვაზისუბნის, ქალაქ გურჯაანის, ახაშნის, შაშიანის, შრომის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

ახაშნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ნ. კობიაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე 140 ცენტნერი მოსავალი მიიღო, გ. თათოიშვილის ბრიგადამ — 120 ცენტნერი და ა. შ. მრავალი მოწინავე ბრიგადის დასახელება შეიძლება აგრეთვე ქალაქ გურჯაანის, შაშიანის, ჭანდრის და სხვა კოლმეურნეობებიდან.

მევენახეებთან ერთად საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან რაიონის მეღვინეებიც.

ჩვენი მეღვინეების ამოცანაა საუკეთესო პროდუქცია დაამზადონ შვიდწლედის პირველი წლის ყურძნის მოსავლიდან, დაიცვან ქართული ღვინის მარკა და ღირსება.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი ღვინოების გამოშვებისათვის ბრძოლაში რაიონს უკეთესი წარმატებები ექნებოდა, სამტრესტი რომ მეტად ზრუნავდეს ჩვენი მეღვინეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. რაიონში არსებული ღვინის ექვსი ქარხანა ვერ აუდის რაიონის ვენახებში მოყვანილი ყურძნის მიღება-გადამუშავებას.

რამდენიმე წელია, რომ გადაწყვეტილია მუკუზანში აშენდეს ღვინის ახალი ქარხანა, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ არაფერი გაკეთებულა. ახალი ქარხნის აშენება საქმის ერთი მხარეა და ის მაინც ვერ გადაწყვეტს მეღვინეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხს. რაიონში მევენახეობის განვითარების პერსპექტივები ისეთია, რომ აუცილებლად უნდა განვითარდეს არსებული ღვინის ქარხნების მოცულობა და აღიჭურვოს ისინი სათანადო ტექნიკით.

გურჯაანის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ შვიდწლედის ამოცანები მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დარგში.

ა. დავითაშვილი,

საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

უკვე კარზეა დიდი ოქტომბერი, ახალ-ახალი საჩუქრებით ხვდება ჩვენი ქვეყანა მშრომელთა დიდ დღესასწაულს.

გმირული შრომით უპასუხა პარტიის წინასაოქტომბრო მოწოდებას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე მდნობელმა ზურაბ ბუცხრიკიძემ.

მთელი დღეები გავარვარებულ ღუმელთან დგას ეს ბრგე ვაჟკაცი და სამშობლოსათვის ადნობს ფეროს — ლითონთა გამამტკიცებელ სამრეწველო ნაწარმს. მან ვალდებულება იკისრა ნოემბერში შეასრულოს წლიური გეგმა და შეასრულებს კიდეც.

მის წინაშე კიდევ ერთი მთავარი ამოცანაა — საგრძნობლად შეამციროს ელექტროენერგიის ხარჯვა და ქვეყანას დაუზოგოს მეტი სათბობი. ნაკისრი ვალდებულებაც თვალსაჩინო მაჩვენებლებით არის განაღდებული. შრომაში გამარჯვებით ხვდება ოქტომბრის დიად დღესასწაულს სახელოვანი მდნობელი.

• • •

სურათზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე მდნობელი ზურაბ ბუცხრიკიძე.

ფოტო შ. კუკულავასი.

ახალი სახლები, ახალი ნაგებობანი

ტყიბული წელს 44 ოჯახმა დაამთავრა საკუთარი სახლების მშენებლობა. სახლები აიშენეს ორჯონიკიძის სახელობის შახტის მეშვიდე ვ. დეკანოზის, სტალინის სახელობის შახტის მეშვიდე ე. ცნობილაძემ, დურგლებმა შ. ქართველიშვილმა, დ. კორძაიამ, ავტომძღოლმა ბ. სუთიძემ და სხვებმა. საკუთარი სახლები მალე ექნება 56 კაცს, მათ შორის ლენინის სახელობის შახტის ბრიგადირს ო. ბრეგაძეს, გამყვან ე. რიფამაძეს, მნგრეველ შ. კუპრაშვილს და სხვებს. ბინათმშენებლებს ყოველმხრივ ეხმარება სახელმწიფო. მათ ეძლევათ გრძელვადიანი სახელმწიფო სესხი და საშენი მასალები.

ნ. ჯინჯიხაძე.

• • •

გეგეჭკორი უკანასკნელ წლებში ბევრი ახალი შენობა აიგო. თვალს ხიბლავს არც თუ ისე ბევრი ხნის წინათ ხარაჩოებჩამოხსნილი ადმინისტრაციული შენობა, კავშირგაბმულობის, სახელმწიფო ბანკის რაიონული განყოფილების და სხვ. ორსართულიანი ლამაზად ნაგები შენობები.

ამ დღეებში რაიონის მშრომელებმა საჩუქრად კიდევ ორი ახალი შენობა მიიღეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა რაისაბჭოს აღმასკომის ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა და 16-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

რაიონულ ცენტრში კვლავ გაცხოველებით მიმდინარეობს ახალი მშენებლობა. წელს დაიწყო და წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი ამბანო-სამრეცხაო და კულტურის რაიონული სახლი.

შ. ბასილაია.

ხალხები მოითხოვენ გზა გადაულოგონ ომს!

პრაღა, 1 ნოემბერი. (საკადესი). ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე და უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობას მიიჩნია საერთაშორისო ცხოვრების თვალსაჩინო პოლიტიკურ მოვლენად. მოსკოვის ახალ სამშვიდობო მოწოდებას, რომელიც გამოთქმულია საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოხსენებასა და უმაღლესი საბჭოს მიმართვაში, უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ აქ და მხურვალედ მოიწონეს.

ჩეხოსლოვაკიის რადიომ გუშინ არა ერთხელ გადასცა ამ ისტორიული დოკუმენტების შინაარსი და დაწვრილებითი ამონაწერები. დღეს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა და სესიის სხვა მასალებისადმი არის მიძღვნილი ძირითადად პრაღის ყველა გაზეთი.

გაზეთები „რუდე პრავო“ და „ობრანა ლიდუ“ თითქმის სამ-სამ გვერდს უთმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის უკანასკნელი სხდომის მასალებს, სხვა გაზეთები ძალიან დაწვრილებითს ამონაწერებს აქვეყნებენ.

„რუდე პრავო“ დიდი, შავი შრიფტით აწყობილი სათაურით: „თანამედროვეობის აუცილებელი პრობლემები: ვიბრძოლოთ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის“ ათავსებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების სრულ ტექსტს, აგრეთვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვის სრულ ტექსტს. „რუდე პრავო“ ქვესათაურებში ხაზს უსვამს მოხსენების უმნიშვნელოვანეს დებულებებს. განსაკუთრებით გამოყოფილია ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების ის ადგილები, სადაც აღნიშნულია მშვიდობიანი თანაარსებობის მოწინააღმდეგეთა ძირგამოთხრელი საქმიანობა, ნათქვამია რომ საუბრა გადაიჭრას ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და მეტი სიფრთხილეა საჭირო.

უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაზე

ლოვანი თანამედროვე პრობლემა — განიარაღების პრობლემა და უმაღლესი დონის თათბირის მალე მოწვევა. „რუდე პრავო“ გამოჰყოფს აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოხსენების იმ ნაწილს, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სოციალისტური ქვეყნები ამჟამად უფრო არიან დარაზმული, ვიდრე ოდესმე და რომ დათმობა იდეოლოგიურ საკითხებში მუშაობა კლასის საქმის ღალატის მომასწავებელი იქნებოდა.

ბერლინი, 2 ნოემბერი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მიესალმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, როგორც თვალსაჩინო დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი.

ბერლინის დემოკრატიული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი, რომელიც მოუწოდებს მთელი ძალები შეუწყონ ხელი განიარაღების პროგრამის განხორციელებას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ დღეს პირველ გვერდზე სათაურით „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს მსოფლიოს პარლამენტებს გაუკაფონ კეთილგანწყობილების მარადიული მშვიდობის გზა“ ბეჭდავს მიმართვის სრულ ტექსტს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საყოველთაო და სრულ განიარაღებას მოჰყვება გადასახადების შემცირება, იგი მოასწავებს ახალი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, ქარხნების, გზების, კაშხალების მშენებლობას.

მოწინავე სტატიაში, მიესალმება რა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახალი განცხადება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე ხალხებს უნერგავს იმის იმედს, რომ მათი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, წარმატებით დაგვირგვინდება.

გაზეთი შემდეგ ხაზს უსვამს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებათა მეოხებით უკანასკნელი პერიოდი აღინიშნა საერთაშორისო ვითარების შესამჩნევი გაუმჯობესებით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საჭიროა ორივე გერმანულმა სახელმწიფომ შეიტანოს წვლილი თანამედროვეობის ძირეული საკითხის — განიარაღების გადაჭრაში.

ბეირუთი, 3 ნოემბერი. (საკადესი). ლიბანის პრესა გაცხოველებით უეცოებს კომენტარს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს III სესიაზე.

„ხრუშჩოვის სიტყვის შემდეგ, — წერს გაზეთი „ალ-ჯარიდა“, — ყველაზე უიმედო პესიმისტსაც კი არ უნდა დარჩეს ექვი მსოფლიოსა და კაცობრობის მომავლის მიმართ“. გაზეთი აცხადებს, რომ „მსოფლიო ახალი ეპოქის — მოწესრიგების ეპოქის ბიჯნაზე დგას“.

„ხრუშჩოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ უკვე იგრძნობა პირველი ძერები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ და რომ მშვიდობა მთელ მსოფლიოში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას, — წერს გაზეთი „ან-ნიდა“, — მომავლის დიდ იმედს უნერგავენ ხალხებს“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავარი დამსახურება იმაში, რომ „ცივი ომის“ ყინულმა იწყო დნობა, ეკუთვნით საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანას, რომლებიც უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის“.

გათუმი—ანადირის ყურე

საზღვაოსნო სასწავლებლის სამსართულიანი შენობა ზღვას გადაჰყურებს. ფანჯრიდან მოჩანს შავი ზღვის უსაზღვრო სივრცე. მერე გემებიც გამოჩნდება. შორეული ნოსნობიდან მომავალი ხომალდი დაღლილი მგზავრივით მიადგება ნავსადგურს და ღუზას ჩაუშვებს.

გემის ეკიპაჟიდან ბევრი ამ თეთრ შენობაში დაუფლებია თავის ძნელ, მაგრამ საპატიო საქმეს. ამიტომ მუდამ სიხარულით ნახულობენ საყვარელ სასწავლებელს, აღმზრდელებს, ხალისით უამბობენ კურსანტებს და მასწავლებლებს თავიანთ მიღწევებზე, წარმატებებზე, შორეული მოგზაურობის დროს განცდილ საინტერესო ამბებზე და სახიფათო ეპიზოდებზე.

ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი სამართლიანად ამაყობს თავისი აღზრდილებით, რომლებიც გემთა შესანიშნავი მძღოლნი დამდგარან და უშიშრად სერავენ ზღვებსა და ოკეანეებს.

1947 წელს ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შორის იყო ორი მეგობარი — ქართველი გიორგი ანთაძე და რუსი იური ივანოვსკი. გიორგი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბეოლიეთის მკვიდრია, იური კი მოსკოველია. საზღვაო საქმის სიყვარულმა ჩაიყვანა ეს ორი ჭაბუკი ბათუმში, აქ სასწავლებლის კედლებში საფუძველი ჩაეყარა მათს მეგობრობას.

მეგობრები მუდამ ერთად იყვნენ — აუდიტორიაში ერთ მაგიდას უსხდნენ, ერთ ოთახში ცხოვრობდნენ და იძინებდნენ, სასწავლებელი ორივემ წარმატებით დაამთავრა. შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ... და აი, 12 წლის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს.

თუ რა მოხდა ანადირის ყურეში, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან. საბჭოთა მეზღვაურებმა მართლაც ჭეშმარიტი გმირობა გამოიჩინეს. შეუძლებელია აღელვებით არ წაიკითხო ის რადიოგრამა, რომელიც შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოში მიიღეს:

„ყველაზე გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველა გემების

მამაცი მეზღვაური გ. ანთაძე დღესასწაულს ულოცავს თანამემამულეებს

ეკიპაჟებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თბომავალ „დვინის“ გადარჩენაში, განსაკუთრებით კი თბომავალ „ალარა ცეტკინის“ შემადგენლობას კაპიტან ანთაძის მეთაურობით, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ მგზავრების სიცოცხლის გადასარჩენად“.

რადიოგრამას ხუთასი მგზავრის სახელით ხელს აწერენ შუბროვი, გრიმაილოვი, ელანსკაია, ტარასენკო, ივანოვი.

როგორც კი გაზეთში მამაცი საბჭოთა მეზღვაურების გმირობის ამბავი გამოქვეყნდა, ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კოლექტივმა ასეთი შინაარსის რადიოგრამა გაგზავნა:

„ვლადივოსტოკი. შორეული აღმოსავლეთის სანაოსნო სამმართველო, თბომავალ „კლარა ცეტკინის“ კაპიტანს ანთაძეს, თბომავალ „დვინის“ კაპიტანს იური ივანოვსკის:

შევიტყეთ თქვენი გმირული საქციელის შესახებ, რამაც უსაზღვროდ გაგვახარა. სასწავლებლის კოლექტივი ამაყობს თქვენით. მხურვალედ მოგესალმებით, გისურვებთ შემდგომ წარმატებებს შრომაში საყვარელი სამშობლოს სადიდებლად“.

სასწავლებლის კოლექტივი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, არასოდეს არ დაივიწყებს იმ მამაც მეზღვაურებს, რომლებმაც სიცოცხლე არ დაიშურეს ასობით ადამიანის გადასარჩენად და სტიქიასთან ბრძოლაში დაიღუპნენ როგორც ჭეშმარიტი გმირები, ისინი სამნი იყვნენ. ამ სამიდან ერთი — მექანიკოსი ნიკოლოზ პეტრეს-ძე ბელიაევი ბათუმის საზღვაო სასწავლებლის აღზრდილია. სულ ოროოდე წლის წინათ დაამთავრა მან სასწავლებელი. შემდეგ თბომავალ „დვინაზე“ მუშაობდა და ასე უდროოდ დაამთავრა ახალგაზრდული სიცოცხლე...

გაზეთი „კომუნისტის“ რედაქციის თხოვნით ბათუმის ნავსადგურის მუშაკები დაუკავშირდნენ თბომავალ „კლარა ცეტკინს“, რომელიც, შორეულ აღმოსავლეთის სანაოსნოს ცნობით, უკიდურეს ჩრდილოეთში — ანადირის ყურეში — პროვიდენიის ნავსადგურში იყო.

„კლარა ცეტკინიდან“ ასეთი რადიოგრამა მიიღეს:

„მგზავრთა გადარჩენა მიმდინარეობდა მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში, ჩვენ ზღვაში, სრულ სიბნელეში, ჩრდილო-დასავლეთის ქარის სიმძლავრე 7-8 ბალს აღწევდა. ეკიპაჟმა ჭეშმარიტი გმირობა გამოიჩინა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან თვითეული საბჭოთა მეზღვაური აღზრდილია კომუნისტური სულისკვეთებით. გადავარჩინეთ უკლებლივ ყველა მგზავრი. ადამიანები იბრძოდნენ თავიანთი მოვალეობის უაღრესი სერიოზულობის სრული შეგნებით. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უფროსმა შტურმანმა

გიორგი ანთაძე

• • •

იური ივანოვსკი

• • •

რომპენკომ (ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებული), შტურმანმა პაპიშევმა, ბონდარენკომ, პირველმა თანაშემწემ ხორდრიბმა, მექანიკოსებმა კარდიუკმა, იაკომენკომ, რუდოვიკომ, ელექტრომექანიკოსმა კულინიჩმა, რაციის უფროსმა კაშჩუკმა, ბოცმანმა ეფიმოვმა, მატროსებმა ერმოლინმა, ბელიაევმა, ტიშკოვმა, იშჩენკომ, მოტორისტებმა კაუსტინმა, ჩუკანოვმა“.

კითხვაზე, თუ როგორ ხვდება ეკიპაჟი დღესასწაულს, კაპიტანმა გ. ანთაძემ გვიპასუხა:

„თბომავლის საწარმოო მაჩვენებლები კარგია. საზღვარგარეთ ნაოსნობის წლიური გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით, შიდა ნაოსნობისა კი — 104 პროცენტით; თბომავალი შეტანილია სანაოსნოს საპატიო დაფაზე. სამ კვარტალში მიღებულია 700 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება. კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის ეკიპაჟის სახელის მოსაპოვებლად.

ზეიმს შეეხვედრებით წყნარ ოკეანეში. ეკიპაჟის სახელით გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მიულოცოთ საქართველოს მშრომელებს ოქტომბრის დიადი დღესასწაული, უსურვოთ ახალი წარმატებები და გადასცეთ ჩვენი მხურვალე მეზღვაურული სალამი შორეული აღმოსავლეთიდან“.

რედაქციისაგან: თბომავალ „კლარა ცეტკინთან“ დაკავშირების საქმეში დახმარებისათვის გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია მადლობას უხდის ბათუმის ნავსადგურის უფროსს შ. სიმონიშვილს, რადიოსადგურის უფროსს ვ. კონდრატოვს და უფროს ოპერატორს ვ. ვლადიმიროვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ტალანტები

სურათებზე: ზემოთ — თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მეჩონგურეთა ჯგუფი (მარცხნივ); ლენტეხის რაიონის კულტურის სახლის მომღერალთა ჯგუფი (მარჯვნივ); ქვემოთ — რ. სურმანიძე (აჭარის ასსრ) უკრავს ჭიბონზე (მარცხნივ); ხობის რაიონის კულტურის სახლის ანსამბლი (მარჯვნივ).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

• • •

მხატვრული თვითმოქმედების შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი

ხალხური შემოქმედების განუწყვეტელი ზრდა და აყვავება საბჭოთა ხალხის მზარდი კეთილდღეობის მკაფიო გამოხატულებაა. საბჭოთა ადამიანები აღმაფრთოვანებელი ლექსებით, გულში ჩამწვდომი სიმღერებით ადიდებენ თავიანთ სამშობლოს, პარტიას, ბედნიერ ცხოვრებასა და შემოქმედებას ხალხის საკეთილდღეოდ.

3 და 4 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების საუკეთესო შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსის მე-2 ტური.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებმა, რომლებიც თავიანთ თავისუფალ დროს სიყვარულით და ხალისით ანდომებენ ხალხურ შემოქმედებას. მათ დიდ წარმატებას მიაღწიეს მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა ჟანრში.

კონკურსი დაიწყო ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მომღერალთა ჯგუფის გამოსვლით (ხელმძღვანელი პ. ბუხაიძე), რომელმაც მწყობრად შეასრულა სიმღერები „იმერული სახუმარო“ და „მაღლა მთაზედა“.

მაყურებელს მოეწონა სალამურის დამკვრელი ვ. ჭულუხაძე (თბილისის მასწავლებელთა სახლი), რომელმაც ვირტუოზულად დაუკრა „იმერული მგზავრულის“ ვარიაციები და ჩაიკოვსკის ნეაპოლიტანური სიმღერა.

დამსწრეთა წინაშე წარსდგნენ წითელწყაროს რაიონიდან და-ძმა გოგაშვილები. მათ ფანდურების თანხლებით, იუმორის დიდი გრძნობით იმღერეს „სახუმარო წკიპურტები“. გულთბილად მიიღო მაყურებელმა მისთვის კარგად ცნობილი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ძმები ერქომაიშვილები.

კონკურსზე საინტერესო პროგრამით გამოვიდნენ თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მეჩონგურეთა და ვოკალური ჯგუფები. ქართულ ხალხურ საკრავთა კვინტეტი და სხვ.

ისმის ხალხური მთქმელის ი. ტუნტულაშვილის (დუშეთის რაიონი) ოქახიანი ხმა. იგი დიდი გრძნობით კითხულობს საკუთარ ლექსს „არაგველებს“.

დარბაზში მჭუხარე ტაშია. სცენაზე არიან მესტიის კულტურის სახლის შავჩოხიანი მომღერლები პ. დადვანის ხელმძღვანელობით. გაისმის მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული სვანური სიმღერები „ირინოლა“, „დალა კოჯას ხელღაჟილე“ და „ყვრაგიში“. მსმენელი გაოცებულია, მას არ სჯერა, რომ ასე მჭუხარედ და ძლიერად ისმის რვა კაცის მიერ შესრულებული სიმღერები.

შერჩეული და კარგად დამუშავებული პროგრამით გამოვიდა მახარაძის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“ (ხელმძღვანელი მოსკოვში ახალგაზრდობის და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი მ. შავიშვილი). ანსამბლის რეპერტუარშია სიმღერები „ნაკადული“, „ხასანბეგურა“ და „ჭრელო ბეღელა“.

სცენაზეა მოხეული ტანსაცმლით გამოწყობილი კოლმეურნე ა. ხაიაური (თიანეთის რაიონი), რომელიც კითხულობს საკუთარ ლექსს „გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნას“.

წარმატება ხვდა გორის რაიონის ვოკალურ კვარტეტს ჯოხაძის, ფოცხიშვილის, საძაგლიშვილისა და სტეფანიშვილის შემადგენლობით. ისინი მღერიან ო. თაქთაქიშვილის „სამშობლოს“ და ს. ნასიძის „მინდორ-მინდორო“. ქართული საცეკვაო მელოდიები შეხმატკბილებულად შეასრულეს ჩონგურებზე ა. ბერიძემ და ი. ვერულიძემ (ქობულეთის კულტურის სახლი).

აფხაზური სიმღერის თავისებურებანი კარგად გადმოსცეს გუდაუთისა და ტყვარჩელის კულტურის სახლის მომღერალთა ჯგუფებმა, ხოლო მეგრული სიმღერების მელოდიურობა და ლირიზმი მხატვრული ოსტატობით გამოხატა ცხაკაიას კულტურის სახლის მომღერალთა ჯგუფმა.

კონკურსში მონაწილეთა შორის აღსანიშნავი არიან თბილისის მასწავლებლის სახლის ინსტრუმენტალური კვარტეტი, ჭიბონზე შემსრულებელი რ. სურმანიძე (აჭარის ასსრ), ვოკალისტი დ. წივწივაძე (ბათუმი), ველისციხის კულტურის სახლის მომღერალთა ჯგუფი, ჩოხატაურის, ხობის, ბორჯომის, ლანჩხუთის, ფოთის, მაიაკოვსკის, ლენტეხის კულტურის სახლების მომღერალთა ჯგუფები.

კონკურსმა ცხადყო მხატვრული თვითმოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა. მან გამოავლინა ხალხური ტალანტები, გამოამეღავნა რეპერტუარის მრავალფეროვნება და ქართულ ხალხურ საკრავთა შესაძლებლობანი.

მ. ჩირინაშვილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ლონდონში, საგასტროლოდ...

გუშინ ქართველი მოცეკვავეები გაემგზავრნენ ლონდონში

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობს ენსსრ კავშირის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ი. სუხიშვილი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ნ. რამიშვილი, გუშინ მოსკოვიდან გაემგზავრა ლონდონში საგასტროლოდ.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ი. სუხიშვილმა განაცხადა:

ჩვენი ანსამბლი საგასტროლოდ ამჯერად მეთვრამეტეჯერ მიემგზავრება უცხოეთში. ახლანდელი გასტროლები გათვალისწინებულია ინგლისში, შოტლანდიაში, ბელგიასა და ლუქსემბურგში. ამ ქვეყნებში ჩვენი ანსამბლი პირველად მიდის. მე პირადად წინათ ორჯერ ვიყავი ლონდონში: ერთხელ 1935 წელს — მსოფლიოს ხალხური ცეკვების ფესტივალზე, სადაც ოქროს მედალი და ამ ფესტივალის ლაურეატის წოდება დავიმსახურე, და მეორედ 1939 წელს — წითელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ა. ალექსანდროვი.

ლონდონში ჩვენ საბჭოთა საელჩოს მონაწილეობას მივიღებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში, სადაც გავმართავთ კონცერტს.

ჩვენი გასტროლები ლონდონში დაიწყება 9 ნოემბერს სამეფო საკონცერტო დარბაზს „ალბერტ ჰოლში“, რომელიც 8.000 მაყურებელს იტევს. ინგლისის დედაქალაქში დავრჩებით სამ კვირას და კონცერტებს გავმართავთ ყოველდღე, ხოლო კვირაობით ორჯერ — დილას და საღამოს. როგორც ჩვენი იმპრესარიო ბატონი ვიქტორ ჰოპაუზერი გვატყობინებს, ჩვენს კონცერტებზე ყველა ბილეთი გაყიდულია.

ინგლისში და სხვა ქვეყნებში ანსამბლი უჩვენებს განახლებულ პროგრამას, მიგვაქვს ჩვენი ცეცხლოვანი და ნარნარი 23 ცეკვა — ქართული, ფარცა-ფერხული, ხორუმი, ყაზბეგური, აჭარული, მხარული, ჯერონი, ჭიდაობა, სიმდი, შეჯიბრი და სხვ. მოვამზადეთ აგრეთვე რამდენიმე ახალი ცეკვა — მთიელ ქალთა ცეკვა, ძველი თბილისის ცეკვა „ბანზე“, მამაკაცთა ცეკვა „ხანჯლური“, აგრეთვე ცერული, სადაც 24 კაცი ერთად ცეკვავს ცერებზე. ესენი ჯერ ჩვენს მაყურებელს არ უნახავს და პირველად ლონდონში შესრულდება.

ლონდონიდან გავემგზავრებით ქალაქ მანჩესტერში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში გამოვალთ ოპერისა და ბალეტის თეატრში, ხოლო შემდეგ შოტლანდიის დედაქალაქ გლაზგოში 10 დღეს დავყოფთ. შემდეგ კვლავ დავბრუნდებით ლონდონში და მოვაწყობთ ორ გამოსათხოვარ კონცერტს.

ბელგიაში — ბრიუსელში ორი კვირის განმავლობაში კონცერტები გაიმართება ოპერისა და ბალეტის თეატრში. ჩვენს ცეკვებს გაეცნობიან აგრეთვე ანტვერპენის მცხოვრებნი, რამდენიმე კონცერტით ჩავალთ ლუქსემბურგში. ბრიუსელიდანაც ჩვენი იმპრესარიო ბატონი ვილიამსი გვატყობინებს, რომ ყველა ჩვენს კონცერტზე ბილეთები უკვე გაყიდულია და აქედანვე გვთხოვს გავაგრძელოთ ჩვენი ყოფნა ბელგიაში. ამით დამთავრდება ჩვენი გასტროლები და გამოვემგზავრებით ჩვენს მშვენიერ სამშობლოში, სადაც მაშინვე დავიწყებთ მზადებას გასტროლებისათვის ამერიკაში, რაც განზრახულია 1960 წლის მარტის ბოლოს.

ჩვენი გასტროლები აისახება კინოფირზე. ანსამბლთან ერთად მოდის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორ-ოპერატორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ახათიანი.

როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კვლავ მაღლა გვეპიროს საბჭოთა საქართველოს ხელოვნების დროშა.

ადამიანების კეთილშობილება

ზესტაფონის რაიონის სოფელ რკვიის დაწყებითი სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ციცინო მოდებაძე გაკვეთილების შემდეგ შინ მიდიოდა. მდინარე ყვირილის ჯაჭვის ხიდზე გადასვლისას ფეხი დაუსხლტა და მდინარეში ჩავარდა.

ეს შენიშნეს რკინიგზის ლიანდაგის ბრიგადირმა ფ. კიკნაძემ და ლიანდაგის მუშამ ე. მუმლაძემ. ისინი მაშინვე გადაეშვნენ მდინარეში, მღვრიე წყალში ბავშვი ძლივს იპოვნეს და გრძნობადაკარგული ამოიყვანეს. ბავშვს ადგილზევე სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

დ. მოდებაძე.

• • •

აბაშის ავტოსატრანსპორტო კანტორის სამგზავრო ავტობუსის მძღოლმა რეზო ცომაიამ ავტობუსში იპოვნა ჩემოდანი, რომელშიც იყო 1.500 მანეთი და 3.000 მანეთის ღირებულების ნივთები. რ. ცომაიამ დაკარგული ფული და ნივთები ავტოსატრანსპორტო კანტორას ჩაბარა. მგზავრმა ქ. ჯოჯუამ, რომელსაც ეს ნივთები და ფული ეკუთვნოდა, უკლებლივ მიიღო ისინი.

ი. თოფურია.

• • •

თბილისიდან ამას წინათ კარდანახში მივდიოდი თბილის-წნორის ავტობუსით. კარდანახში რომ ჩავედი, სიჩქარის გამო ავტობუსში დამრჩა საფულე, რომელშიც ფულთან ერთად იყო საბუთებიც. მესამე დღეს ავტობუსის მძღოლმა ა. კორახაშვილმა ხელუხლებლად მომიტანა საფულე.

ლ. გერიკაუშვილი.

სასკოლო არდადეგების ახალი ვადები

დაწესდა სასკოლო არდადეგების ახალი ვადები. 1959-1960 სასწავლო წლის დაწყებითი, შვიდწლიანი, და საშუალო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეთათვის დადგენილია საშემოდგომო არდადეგები 5 დღე 5-დან 9 ნოემბრამდე ჩათვლით. ზამთრის არდადეგები გაგრძელდება 12 დღეს — 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ჩათვლით, გაზაფხულისა — 8 დღე. ქალაქის სკოლებში — 24-დან 31 მარტამდე ჩათვლით, ხოლო სოფლის სკოლებში — ვადებს აწესებენ სახალხო განათლების განყოფილებები ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით.

შეცვლილია მოსწავლეთა საზაფხოო დასვენების ვადებიც. საწარმოებში, კოლმეურნეობებში და სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობასთან დაკავშირებით მეცადინეობის დამთავრება წესდება იმ სასწავლო გეგმების მიხედვით, რომლებითაც წარმოებს სწავლება სხვადასხვა ტიპის სკოლებში.

1-ლ — მე-4 კლასების მოსწავლენი სასწავლო წელს დაამთავრებენ 31 მაისს, მე-5 კლასებისა — 18 ივნისს, მე-6 — მე-8 კლასებისა — 28 მაისს.

მე-9 — მე-10 კლასებში, რომლებიც ექსპერიმენტული თერთმეტწლიანი საშუალო სკოლების გეგმებით მეცადინეობენ, სასწავლო წელი მთავრდება 25 ივნისს. შვიდწლიანი, საშუალო ათწლიანი და თერთმეტწლიანი სკოლების გამოსაშვებ კლასებში გამოცდები მოეწყობა 30 მაისიდან.



მეტოქეთა გრძოლის ისტორიიდან

დიდი ფეხბურთის მოლოდინშია თბილისი, სხვანაირად ვერც ვუწოდებთ საბჭოთა ფეხბურთის სიამაყის — მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ ორთაბრძოლას.

და, მართლაც, თვალს თუ გადავავლებთ განვლილ გზას, მიმოვიხილავთ წარსულ ბრძოლებს, როგორ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ „სპარტაკს“, „დინამოს“.

მოკლედ მათი შეხვედრის ისტორიიდან:

საკავშირო ჩემპიონატის გარიერაზე თბილისის „დინამო“ რისხვად მოევლინა უძლიერესთა ჯგუფს. გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა, თბილელთა ბრძოლის ტემპმა, თამაშის სტილმა მოხიბლა მაყურებლები. დინამოელებს ყველგან სიყვარულით ხვდებოდნენ, ერთსულოვანი ტაშით აცილებდნენ.

მაგრამ თასისათვის ბრძოლა ფეხბურთის მარათონი როდია. აქ დაკარგულს ვერ აინაზღაურებ, „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდები, პირველი დამარცხებისთანავე ბრძოლის ველს ტოვებ.

თასისათვის ბრძოლას ზოლად გასდევს სპარტაკელთა გამარჯვებები, თბილელთა წარმატებანი. აი მათი პირველი შეხვედრა 1936 წლის 19 აგვისტოში. თამაში დაუცხრომელი და შეუპოვარი იყო. ამაზე მეტყველებს შედეგი — 3:3. მეორე დღის ბატრის 90 წუთიც ამოიწურა და იგივე ციფრები — 3:3. დამატებითი დრო თბილისელთა შტურმით დასპარტაკელთა კარში 3 ბურთით აღინიშნა. გაიმარჯვეს დინამოელებმა 6:3.

ამის შემდეგ ამ გუნდების შეხვედრებში თასისათვის ბრძოლის კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. 1939 წელს ნახევარფინალში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 3:2, ხოლო 1945 წელს — თბილისელებმა 2:1.

1946 წელი. ფინალი. მოედანზე ძველ მეტოქეები — „სპარტაკი“ და „დინამო“ იყო. ბევრი გამარჯვების თბილისელებს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2. დამატებით დროში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 3:2. 1948 წელს მეოთხეჯფინალში „სპარტაკმა“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა 1:0.

ბრძოლა ახლდება. დღეს თბილისში სსრ კავშირის თასის ექვსგზის მფლობელი მოსკოვის „სპარტაკი“ მერვეჯფინალში შეხვდება ჩვენი რესპუბლიკის დინამოელებს. ეს იქნება XXI ჩემპიონატის პრიზიორის სერიოზული გამოცდა, საზღვარგარეთ გამგზავრების წინ ძალთა გენერალური შემოწმება.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ დაამტკიცა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა სია, რომელშიც შედის ჩვენი ქვეყნის 19 უძლიერესი მოჭადრაკე.

ასპარეზობა დაიწყება 20 ნოემბერს და ერთ თვეს გაგრძელდება.

პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან: ლ. გოლპერტი (ლენინგრადი), ო. რუბცოვა (მოსკოვი), ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), ნ. კოლოტი (მოსკოვი), ს. ოროტარე (ტალინი), მ. ტოგონიძე (თბილისი), ლ. ბელავენეცი (მოსკოვი), ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), ო. სემიონოვა (ლენინგრადი), კ. სკეგინა (ტულა), ა. ვიტნოვსკაია (ვინიცა), ა. კუშნირი (მოსკოვი), ე. კაკაბაძე (თბილისი), ზ. ნახიმოვსკაია (რიგა), ფ. დმიტრიევა (ლენინგრადი), ვ. ტიხომიროვა (მოსკოვი), ლ. იაკირი (კიევი), ნ. ვოიცეკი (მოსკოვი), ა. რუბინჩიკი (ოდესა).

ჩემპიონატის მთავარ მსაჯად დანიშნულია ქ. გოგიაგა.

მატჩი კიშინიოვში

კიშინიოვი, 4 ნოემბერი. აქ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „მოლდოვასა“ და კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის. ორივე გუნდისათვის ეს იყო უკანასკნელი, 22-ე შეხვედრა. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 2:2.

ქუთაისის „ტორპედოს“ გამარჯვება

ქუთაისი, 4 ნოემბერი. აქ გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოსა“ და ფინეთის „პალოსეურის“ (ქალაქი კუოპიო) გუნდებს შორის. შეხვედრა, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, დამთავრდა ანგარიშით 3:0 ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **მოსკოვში** გაიმართა საერთაშორისო შეხვედრები ქალთბურთში რუმინეთის სახალხო არმიისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის. ორივე მატჩი მოიგეს საბჭოთა ქალთბურთელებმა ანგარიშით 84:71, 85:68.

⊙ **დამთავრდა** შეჯიბრება ჭადრაკში მოსკოვის პირველობაზე. 15 შესაძლებლიდან 12 ქულით ჩემპიონი გახდა საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ლიბერზონი. მან 10,5 ქულა შეაგროვა. მესამე ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა დ. ბრონშტეინმა.

⊙ **მატჩი** ფარიკაობაში ოდესის, ხარკოვისა და თბილისის გუნდებს შორის მიმდინარეობდა თბილისში ლენინის სახელობისა და საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზებში.

3 ნოემბერს გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები. შეჯიბრების მეტ წილ სახეობებში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ საერთო გუნდური გამარჯვება მოიპოვეს.



5 ნოემბერი

ოპერისა და ბალეტის — კარმენი (მე-4 აბონ. მე-4 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარული, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი (პრემიერა), **გრიბოედოვის სახელობის** — უკანასკნელი გაჩერება (მე-8 აბონ. 1-ლი წარმ.), **მუსიკალური კომედიის** — ჯერ დაიბოღნენ, მერე იქორწინეს (ოკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — არეული დღე.



5 ნოემბერი

19.30 — ყველაზე პატარებისათვის „ჩემი პირველი წიგნი“, 19.40 — გადაცემა, მიძღვნილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისადმი, 20.00 —, „თანამედროვე ქართული ხალხური შრომის სიმღერები“, 20.30 — ახალი მხატვრული ფილმი „ჩვენ სვიმრეჩიედან ვართ“, 22.00 — უკანასკნელი ცნობები, 22.15 — კონკურსში გამარჯვებულთა კონცერტი.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

საგლეხოგული

კორეელი ხალხი მოითხოვს

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გაავრცელა ტექსტი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ სონ ჩხოლის დეპეშისა, რომელიც 26 ოქტომბერს გაიგზავნა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე.

დეპეშაში ნათქვამია:

„კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მითითებით პატივი მაქვს გადმოგცეთ ეს წერილი თქვენ, ხოლო თქვენი მეშვეობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების შედეგად კორეის საკითხი, რომელიც თვითონ კორეელმა ხალხმა უნდა გადაჭრას, კვლავ უკანონოდ შეტანილია გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის დღის წესრიგში.

რამდენადაც განიხილავენ კორეის საკითხს, სავსებით ბუნებრივია, რომ განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა.

მაგრამ, ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე შეერთებული შტატების მანევრების შედეგად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კორეის საკითხს განიხილავდა ცალმხრივ საფუძველზე კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობის მიუღებლად და ყოველთვის მექანიკურად იღებდა ამერიკის „რეზოლუციის პროექტს“, რომელიც ითვალისწინებს, რომ მთელ კორეაზე გავრცელდეს ლი სინ მანის რეაქციული რეჟიმი; ამით იგი კვლავ უშლის ხელს კორეას მშვიდობიან გაერთიანებას“.

კუბა იგრძვის

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. (საკდესი). კუბის გაზეთმა „ნოტისიას დე ოიმ“ გამოაქვეყნა კუბის სახალხო-სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის ბლას როკას სტატია სათაურით „გადამწყვეტი საათი“, რომელშიც მოუწოდებს კუბის ხალხს გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს რეგოლუციის მტრებს.

„იანვრიდან მოკიდებული, — წერს ბლას როკა,—კუბის წინააღმდეგ იყენებენ ბრძოლის ყველა საშუალებას: ცილისწამების კამპანიას, დიპლომატიურ ზეგავლენას, მუქარასა და ეკონომიურ შეზღუდვებს, დივერსიებს, შეთქმულებებს, ტერორიზმს, ინტერვენციის ცდებს, თავზე ხელაღებულთა ჯგუფების შეიარაღებულ მოქმედებას, ჩრდილოეთამერიკელი იმპერიალისტების მიერ სპეციალურად შეგროვებული და შემოგზავნილ ჯაშუშებისა და გამცემლების პროვოკაციულ მოქმედებას“.

კუბას, განაგრძობს იგი, თავს ესხმოდნენ თვითმფრინავები, რომლებსაც ბაზა აქვთ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ჯერ ისინი ჰყრიდნენ კონტრრევოლუციურ ფურცლებს. შემდეგ კუბის ქალაქები დაბომბეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს, რის შედეგად ჰავანაში მოკლულ იქნა 50 კაცი.

ამავე დროს, აღნიშნავს ბლას როკა, კუბაში მოეწყო ჰუბერტ მატოსის შეთქმულება, რომელიც კონტრრევოლუციურ ელემენტებს უნდოდათ გამოეყენებინათ „ახალი სასტიკი და გამანადგურებელი სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად“.

მოჰყავს რა შემდეგ მრავალი ცნობა კონტრრევოლუციური ელემენტების საქმიანობის შესახებ, ბლას როკა აღნიშნავს, რომ რევოლუცია კუბაში არის „ნამდვილი რევოლუცია“, და მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ აგრეთვე მთელი ლათინური ამერიკისათვის“.

სწორედ ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, „ასე გააფთრებით ესხმიან მას თავს ჩრდილოეთამერიკელი იმპერიალისტები, მსხვილი მემამულეები, მონოპოლიები, ზოგიერთი კომერსანტი - იმპორტიორი, მსხვილი მაგნატები, ექსპლოატატორები და მათი ყოველგვარი აგენტები, ლაქიები პრესაში, პოლიტიკასა და ცხოვრების ყველა დარგში. სწორედ ამიტომ საჭიროა გადამწყვეტი ღონისძიებანი რევოლუციის დასაცავად“.

ყოველი მხრიდან

◆ **2 ნოემბერს** ჟენევაში ინგლისის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ სამი სახელმწიფოს თათბირის მორიგი სხდომა.

გრძელდებოდა თათბირისათვის წარდგენილი დოკუმენტების განხილვა.

◆ **როგორც** ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, ლაოსის მინისტრთა კაბინეტმა მემკვიდრე პრინცი, სამეფოს რეგენტი სავანგ ვატანანი გამოაცხადა ლაოსის მეფედ. სავანგ ვატანანი არის შვილი ყოფილი მეფის სისავანგ ვონგისა, რომელიც გარდაიცვალა ამა წლის 29 ოქტომბერს.

◆ **დასავლეთ** გერმანიაში დაიწყო რეგისტრაცია 1939 წელს დაბადებული პირებისა, რომლებსაც ბუნდესვერში იწვევენ. როგორც პრესა იუწყება, ამ პირთა რეგისტრაცია, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ითვლება ნახევარ მილიონამდე, დამთავრდება 15 დეკემბრისათვის. 1 აპრილიდან დაიწყება მათი გაწვევა ბუნდესვერში.

1922 წელს დაბადებულ პირთა მასობრივი პროტესტების მიუხედავად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მიმდინარეობს ამ ასაკის სამხედრო ვალდებულთა „ნაწილობრივი“ გაწვევა სამხედრო შეკრებაზე ბუნდესვერში.

გელგიის კონგო არ ცხრეგა

პარიზი, 3 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ონლდი“ კომენტარს უკეთებს ბელგიის კონგოში მომხდარ უკანასკნელ ამბებს და აღნიშნავს, რომ მდგომარეობა ბელგიის ამ კოლონიაში კვლავ უარესდება. კონგოს აფრიკელი მოსახლეობა გადაჭრით უარყოფს ბელგიის მთავრობის წერილს, რომლის ნამდვილი მიზანია დააყოვნოს ბელგიის კონგოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

აფრიკელებს, წერს გაზეთი, მიაჩნიათ, რომ ბელგიის მთავრობა ცდილობს თავს მოახვიოს მათ ოთხი წლის გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაში მას განზრახული აქვს ხელისუფლების სათავეში დააყენოს ადამიანები, რომლებმაც უღალატეს ხალხის ინტერესებს.

გმობენ რა კოლონიზატორთა გეგმებს, ბელგიის კონგოს პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა, და კერძოდ ებაკოს გავლენიანმა პარტიამ, მიიღეს გადაწყვეტილება ბოიკოტი გამოუცხადონ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებს, რომელიც დანიშნულია ამა წლის დეკემბერში.

ამჟამად, ხაზგასმით აღნიშნავს „მონდი“, მთელ კონგოში ფართოვდება მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის. თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის ლუმუმბის ამასწინანდელმა დაპატიმრებამ დიდი აღფოთება გამოიწვია კონგოს მოსახლეობაში. ბევრ ქალაქში იმართება მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები დაპატიმრებული პატრიოტების განთავისუფლებისათვის.

ბრიუსელი, 3 ნოემბერი. (საკდესი). ბელგიის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრში კვლავ არის კონგოელთა სისხლისღვრა, რაც კოლონიზატორებმა მოაწყეს ქალაქ სტენლივილში. თუმცა მთელ რიგ ოფიციალურ ცნობებში არის ცდა დაარწმუნონ ბელგიის საზოგადოებრივი აზრი, რომ ბელგიის კონგოში კვლავ სიმშვიდე დამყარდა, ვითარება იქ მეტად დაძაბული რჩება.

გაზეთ „პეპლის“ ცნობით, სტენლივილსა და მის ახლომახლო რაიონებში შემოღებულია მკაცრი სამხედრო რეჟიმი. მთელ რიგ ადგილებში იყო შემთხვევები, რომ კონგოელები თავს ესხმოდნენ პოლიციის პატრულებს. „წესრიგის დასამყარებლად“ უშიშროების ჯარები კონგოელთა წინააღმდეგ იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს.

ქალაქ ელიზაბეტვილში 8 ათასამდე მუშამ, რომლებიც ერბო-კარაქის საწარმოებში მუშაობენ, გაფიცეა გამოაცხადა ბელგიის ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა დატრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტიულისა — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.